დღეს გაიხსნება საქართველოს კომპარტიის თბილისის XXXVII საქალაქო პარტიული კონფერენცია

# მხურვალე, გულითადი სალამი კონფერენციის დელეგატებს!



ეს ფოტოსურათი გადაღებულია თბილისის ვ. ი. ლენინის სახელობის ელმავალსაშენებელ ქარხანაში. თქვენ ხედავთ საწარმოს სამ მოწინავე ბრიგადირს (მარცხნიდან) ამწყობ-ზეინკალთა ბრიგადირს, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატს, რამდენიმე ორდენის კავალერს, დიდი სამამულო ომის მონაწილეს ირაკლი გელაშვილს, ელექტრომემონტაჟეთა ბრიგადის ხელმძღვანელს, ლენინისა და ოქტომბრის ორდენების კავალერს გურამ მეტონიძეს და კომპლექსური ბრიგადის ბრიგადირს, შრომის წითელი დროშის ორდენოსანს ამირან გელაშვილს. მუშათა კლასის ეს სახელმოხვეჭილი წარმომადგენლები არჩეული არიან თბილისის XXXVII საქალაქო პარტიული კონფერენციის დელეგატებად.

ვლ. გინზბურგის ფოტო.

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ— ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

1979 წელი
ხუთშაბათი
19 იანვარი
№ 16 (17361)
ფასი 2 კაპ.

## დედაქალაქის კომუნისტები

დღეს საქართველოს დედაქალაქის კომუნისტთა მორიგი თავყრილობაა. ქალაქის პარტიულ ორგანიზაციათა წარგზავნილნი კონფერენციაზე მოდიან თავიანთი მოვალეობის იმ მაღალი შეგნებით, რომ ყოველმხრივ ღრმად, გულდასმით და საფუძვლიანად შეაჯამონ მთელ საანგარიშო პერიოდში მიღწეული და შექმნილი, კრიტიკულად გააანალიზონ ჯერ კიდევ გაუთვალისწინებელი და გაუკეთებელი, დასახონ მომავალი მოღვაწეობის ნათელი, პასუხსაგები ამოცანები.

ერთი სიტყვით, დღევანდელი პარტიული ფორუმი შეიძლება ისეთ სიმაღლეს შევადაროთ, საიდანაც ხელისგულივით გამოჩნდება თბილისის მთელი საქალაქო პარტიული ორგანიზაციის ბრძოლა სკკპ XXV ყრილობისა და საქართველოს კომპარტიის XXV ყრილობის გადაწყვეტილებათა შესრულებისათვის. განვლილი საანგარიშო პერიოდი ხომ ამ ბრძოლის სამწლიანი მონაკვეთია, ხოლო მომავალი პერიოდი უფრო დაძაბული და პასუხსაგები იქნება, რადგან სწორედ ამ ორწლეულში თბილისელმა კომუნისტებმა წარმატებით უნდა დააგვირგვინონ თავიანთი მეცადინეობა და გარჯა ყრილობის გადაწყვეტილებებიდან, მეათე ხუთწლედის დავალებებიდან გამომდინარე ამოცანების მთლიანად განხორციელებისათვის. ამას-

## ქვეყნის ეკონომიკური ძლიერების ახალი მიჯნებისაკენ

### საქართველოს სსრ პარტიულ-სამეურნეო აქტივის კრება

18 იანვარს გაიმართა რესპუბლიკის პარტიულ-სამეურნეო აქტივის კრება. მის მუშაობაში მონაწილეობდნენ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრები, ცენტრალური კომიტეტის წევრობის კანდიდატები, საქართველოს კომპარტიის სარევიზიო კომისიის წევრები, პარტიის საქალაქო და რაიონული კომიტეტების პირველი მდივნები, მინისტრები და უწყებათა ხელმძღვანელები, მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის მოწინავეები, პროფკავშირული და კომკავშირული მუშაკები, მეცნიერებისა და კულტურის მოღვაწენი.

კრება გახსნა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატმა, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ამხანაგმა ე. ა. შევარდნაძემ.

„საქართველოს სსრ მშრომელთა 1979 წლის სოციალისტური ვალდებულებებისა და ამოცანების შესახებ“ მოხსენება გააკეთა რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ზ. ა. პატარიძემ.

მოხსენების გამო გამართულ კამათში მონაწილეობდნენ საქართველოს კომპარტიის აჭარის საოლქო კომიტეტის მეორე მდივანი გ. ე. ჩიგოგიძე, რესპუბლიკის კვების მრეწველობის მინისტრი რ. ჰ. კონცელიძე, აფხაზეთის ასსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე და სახელმწიფო საგეგმო კომისიის თავმჯდომარე ი. ხ. ჭანბა, საქართველოს კომპარტიის მახარაძის რაიკომის პირველი მდივანი დ. ნ. დვალიშვილი, საქართველოს კომპარტიის სამხრეთ ოსეთის საოლქო კომიტეტის მდივანი ი. ვ. გაბარაევი, საქართველოს სსრ საშენ მასალათა მრეწველობის მინისტრი ო. ი. ლოლაშვილი, საქართველოს კომპარტიის რუსთავის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი რ. შ. გიორგაძე, საქართველოს სსრ სასოფლო მშენებლობის მინისტრი ი. ა. ხარატიშვილი, საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილე ზ. გ. ჯინჭარაძე.

□

მომხსენებელმა და გამოსულმა ორატორებმა აღნიშნეს, რომ მეათე ხუთწლედის სამ წელიწადში საბჭოთა საქართველომ, რომელიც ხელმძღვანელობს საქართველ-

...

ერთობლივი საზოგადოებრივი პროდუქტი 1978 წელს 20,1 პროცენტით გაიზარდა ამ წლისათვის ხუთწლედით გაანგარიშებული 16,8 პროცენტის ნაცვლად, ხოლო ეროვნული შემოსავალი გადიდდა 22,9 პროცენტით.

მრეწველობაში, სოფლის მეურნეობასა და მატერიალური წარმოების სხვა დარგებში წარმოების მოცულობის ზრდა შესაძლებელი გახდა იმის შედეგად, რომ თითქმის მესამედით განახლდა სახალხო მეურნეობის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა და ფართოდ გაიშალა პატრიოტული მოძრაობა დევიზით „არც ერთი ჩამორჩენილი ჩვენს გვერდით!“.

□

როგორც მომხსენებელმა და ორატორებმა აღნიშნეს, რესპუბლიკის 1979 წლის სოციალისტური ვალდებულებანი გამომდინარეობს იქიდან, რომ უზრუნველყოთ სახა-

...

მაგრამ ხუთწლედის სამი წლის შედეგების მიხედვით წარმოების მოცულობის ზრდის გათვალისწინებულ ტემპს ჩამორჩნენ რესპუბლიკის ტერიტორიაზე განლაგებული საკავშირო სამინისტროების მთელი რიგი საწარმოები და გაერთიანებანი. მათ ყველას ამ მაჩვენებლის მიხედვით რომ შეესრულებინათ დავალებანი და სოციალისტური ვალდებულებანი, რესპუბლიკა დამატებით ათმილიონობით მანეთს მიიღებდა.

აღინიშნა, რომ ზოგჯერ უწყებები, საწარმოები და გაერთიანებანი აქვეითებენ შრომის ნაყოფიერების მიღწეულ დონეს. მაგალითად, 1978 წელს, წინა წელთან შე-

დარებით, შრომის ნაყოფიერების ეს დონე შეამცირა 165 საწარმომ და გაერთიანებამ. განსაკუთრებით დიდია ამ საწარმოთა და გაერთიანებათა რიცხვი ხორცისა და რძის, მსუბუქი, კვების მრეწველობის, მშენებლობის, სატყეო მეურნეობის სამინისტროებში. სხვადასხვა მიზეზის გამო გასული წლის მარტო ცხრა თვეში დაიკარგა მნიშვნელოვანი რაოდენობის კაცდღე, რის შედეგადაც სახელმწიფოს დააკლდა თითქმის 70 მილიონი მანეთის სამრეწველო პროდუქცია.

კრების მონაწილეებმა დიდი ყურადღება დაუთმეს პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესების საკითხს. მათ სიამაყით აღნიშნეს, რომ სახელმწიფო ხარისხის ნიშნით გამოშვებული ნაწარმის რაოდენობა 1978 წელს 714-დან გაიზარდა 1.615-მდე, ხარისხის უმაღლესი კატეგორიის პროდუქციის ხვედრითმა წონამ წარმოების საერთო მოცულობის 11,6 პროცენტი შეადგინა. მაგრამ ეს სრულიადაც არ ნიშნავს, თითქოს რესპუბლიკაში ხარისხის საქმე კარგად იყოს. ბევრ საწარმოში საქონლის ხარისხისა და ვაჭრობის სახელმწიფო ინსპექციის მთავარმა სამმართველომ დაადგინა მდარე ხარისხის პროდუქციის გამოშვების ფაქტები. უნდა დაინერგოს ხარისხის მართვის კომპლექსური, მეცნიერულად დასაბუთებული სისტემები.

...

ლებანი არათუ მთლიანად, გადაჭარბებითაც შესრულდეს.

სოციალისტური შეჯიბრება, რომელიც გაიშალა სკკპ XXV ყრილობის გადაწყვეტილებათა შესრულებისათვის, მასების შემოქმედებითი აქტიურობის, ინიციატივისა და შრომითი ენთუზიაზმის შედეგია. კრების მონაწილეებმა ხაზგასმით აღნიშნეს, რომ 1979 წლის სოციალისტური ვალდებულებები აკისრებს რესპუბლიკის ყველა მშრომელს იმუშაონ მაქსიმალური უკუგებით.

კრების მონაწილეებმა მიიღეს საქართველოს სსრ მშრომელთა სოციალისტური ვალდებულებანი 1979 წლისათვის. (საქინფორმი).

## ხალხის კანდიდატები




### გრძელდება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატთა დასახელება

ქვეყნის სახალხო ხელისუფლების უმაღლესი ორგანოს დეპუტატობის კანდიდატის დასახელებისადმი მიძღვნილი წინასაარჩევნო კრება გაიმართა მახარაძის რაიონის სოფელ ნატანების კოლმეურნეობაში. კრების მონაწი-

...

ჭოს დეპუტატობის კანდიდატად № 499 ხელვაჩაურის საარჩევნო ოლქში დაასახელონ საქართველოს კომპარტიის აჭარის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი ვახტანგ რაფაელის ძე პაპუნიძე.

...

## საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში

### ავამაღლოთ სახალხო მეურნეობაში სამართლებრივი მუშაობის ეფექტიანობა

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში გაიმართა სამეურნეო ხელმძღვანელობისა და იურიდიული სამსახურის მუშაკთა თათბირი პარტიის ზოგიერთი რაიკომის მდივნების, სახალხო დეპუტატთა რაისაბჭოების აღმასკომების თავმჯდომარეებისა და პარტიის საოლქო და საქალაქო კომიტეტების ადმინისტრაციული ორგანოების განყოფილებათა გამგეების მონაწილეობით.

თათბირზე განიხილეს სახალხო მეურნეობაში სამართლებრივი მუშაობის გაუმჯობესების საკითხი „სკკპ XXV ყრილობის გადაწყვეტილებათა მიხედვით მრეწველობის, სოფლის მეურნეობისა და მშენებლობის საწარმოებში სამა-

...

ზაციის მოხებით, სამინისტროებსა და უწყებებში, საწარმოებსა და ორგანიზაციებში შესამჩნევად განმტკიცდა სოციალისტური კანონიერება, გაუმჯობესდა ეკონომიკური მაჩვენებლები, სამართლებრივ საშუალებებს უფრო

...

უწყებასა და დაწესებულებაში დღემდე არ არის შექმნილი იურიდიული განყოფილებები.

თათბირზე განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო იმას, რომ საჭიროა გაძლიერდეს პარტიული ხელმძღვანელობა სამართლებრივი სამსახურების მუშაობისადმი, ამაღლდეს სამინისტროებისა და უწყებების, საწარმოებისა და ორგანიზაციების ხელმძღვანელთა პასუხისმგებლობა სამართლებრივი მუშაობის მდგომარეობისათვის.

...

## გულითადი მადლობა

სოფია, 18 იანვარი. (საკდესი). დღეს ყველა ბულგარულმა გაზეთმა გამოაქვეყნა სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ლ. ი. ბრეჟნევის წერილი გაზეთ „რაბოტნიჩესკო დელოსადმი“.

წერილში ნათქვამია:

„ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკაში ვიზიტის დროს უამრავი წერილი და დეპეშა მივიღე სამრეწველო საწარმოების, აგრარულ-სამრეწველო კომპლექსების, სახელმწიფო დაწესებულებების, სამეცნიერო და შემოქმედებითი ორგანიზაციების, ჯარის ნაწილების კოლექტივებისაგან, ცალკეული ბულგარელი მოქალაქეებისაგან. მიხარია, რომ ყველა ეს წერილი და დეპეშა საბჭოთა კომუნისტებისადმი, ოქტომბრის სამშობლოსადმი პატივისცემის, სიყვარულისა და მადლიერების გრძნობით არის გამსჭვალული. წერილებსა და დეპეშებში დიდი კმაყოფილებაა გამოთქმული იმ შეხვედრებისა და საუბრების შედეგების გამო, რომლებიც მე და ამხ. კ. უ. ჩერნენკოს გვქონდა ბულგარეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივანთან ტ. ჟივკოვთან და ბულგარეთის კომპარტიისა და ბულგარეთის მთავრობის სხვა ხელმძღვანელ მოღვაწეებთან.

მე მივიღე ბევრი მიპატიჟება მუშათა კოლექტივებში, ბულგარელ მოქალაქეთა სახლებსა და ოჯახებში, მთხოვდნენ მენახა, თუ როგორ გარდაიქმნა ბულგარეთის უძველესი მიწა-წყალი სახალხო ხელისუფლების წლებში.

ვინაიდან შესაძლებლობა არ მქონდა პირადად მეპასუხა მიღებულ წერილებსა და დეპეშებზე, მინდა გაზეთ „რაბოტნიჩესკო დელოს“ მეშვეობით გულითადი მადლობა გადავუხადო ყველა ამხანაგს, რომლებმაც ძმური მეგობრობისა და სოლიდარობის გრძნობები გამოხატეს ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკაში ჩემს ვიზიტთან დაკავშირებით.

მხურვალედ ვუსურვებ სახალხო ბულგარეთის კომუნისტებს, ყველა მშრომელს შემდგომ წარმატებებს განვითარებული სოციალისტური საზოგადოების მშენებლობაში, მშვიდობასა და აყვავებას ვუსურვებ რესპუბლიკას, კეთილდღეობასა და ბედნიერებას — ყოველი ბულგარელის ოჯახს“.

## საუბარი კრემლში

18 იანვარს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ა. ნ. კოსიგინმა კრემლში მიიღო ესპანეთის საგარეო საქმეთა მინისტრი მ. ორეხ აგირე, რომელიც ოფიციალურ ვიზიტად იმყოფება საბჭოთა კავშირში.

საუბრისას მხარეებმა კმაყოფილება გამოთქვეს იმის გამო, რომ საბჭოთა კავშირ-ესპანეთის ურთიერთობა კარგად ვითარდება მას შემდეგ, რაც 1977 წლის თებერვალში დიპლომატიური ურთიერთობა დამყარდა საბჭოთა კავშირსა და ესპანეთს შორის.

საერთაშორისო პრობლემებზე აზრთა გაზიარებამ ცხადყო, რომ ორივე მხარე უპირველეს მნიშვნელობას ანიჭებს საერთაშორისო დაძაბულობის შენელების გაღრმავებას, გამალებული შეიარაღების შეწყვეტასა და განიარაღების რეალურ ღონისძიებებს. გამოითქვა იმედი, რომ ამას ხელს შეუწყობს სრულიად ევროპის

...

## მოვრინავს „სოიუზ-1072“

მიზანი: სახალხო მეურნეობისა და კულტურის აღმავლობა,

# XXXVII თბილისის პარტიული ორგანიზაცია — საქართველოს

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა, თბილისის საქალაქო კომიტეტმა, სხვა პარტიულმა კომიტეტებმა თვითკრიტიკულად გააანალიზეს საქმეთა ვითარება რესპუბლიკაში, შეიმუშავეს და ახორციელებენ იმ ღონისძიებათა ფართო სისტემას, რომელთა მიზანია სახალხო მეურნეობისა და კულტურის აღმავლობა, მშრომელთა ცხოვრების დონის ამაღლება, მათი პოლიტიკური შეგნებულობისა და შემოქმედებითი ინიციატივის შემდგომი ზრდა. წარმოებს მიზანდასახული მუშაობა პარტიული ცხოვრების ლენინური ნორმებისა და პარტიული ხელმძღვანელობის ლენინური პრინციპების დამკვიდრებისათვის. მნიშვნელოვნად გაიზარდა პარტიულ ორგანიზაციათა ავტორიტეტი, გაძლიერდა მათი წარმმართველი და მაორგანიზებელი გავლენა რესპუბლიკის სოციალურ-ეკონომიკური და სულიერი ცხოვრების სხვადასხვა დარგში.

საქართველოს პარტიული ორგანიზაციის შესახებ სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1976 წლის ივნისის დადგენილებიდან.

● ძალ-ღონითა და შემოქმედებითი ენერგიით, ოპტიმიზმითა და მომავალი დიდი ამოცანების წარმატებით გადაწყვეტისათვის მაღალი პასუხისმგებლობის გრძნობით ეგებება თბილისის კომუნისტთა 87-ათასიანი რაზმი თავის 37-ე საქალაქო პარტიულ კონფერენციას. ძველმა და მარად ჭაბუკმა თბილისმა, სახელოვანი რევოლუციური და შრომითი ტრადიციების ქალაქმა, ქვეყნის ერთ-ერთმა უდიდესმა სამრეწველო და სამეცნიერო ცენტრმა, სადაც საქართველოს მოსახლეობის მეხუთედი ცხოვრობს და გამოდის მისი სამრეწველო პროდუქციის მესამედი, ორ პარტიულ კონფერენციას შორის პერიოდში ახალ წარმატებათა დიდი და ნაყოფიერი გზა განვლო.

● თბილისის კომუნისტებმა, ყველა მშრომელმა, რომლებიც საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ხელმძღვანელობით იბრძვიან სკკპ XXV ყრილობის, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მომდევნო პლენუმების ისტორიულ გადაწყვეტილებათა, პარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტისა და საქართველოს პარტიული ორგანიზაციის შესახებ სკკპ ცენტრალური კომიტეტის, რესპუბლიკის კომპარტი-

## კონფერენციიდან კონფერენციამდე

□

## როგორ ვიზარდეთ

ის XXV ყრილობისა და საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმების გადაწყვეტილებათა განხორციელებისათვის, მეათე ხუთწლედის განვლილ სამ წელიწადში მნიშვნელოვნად გაამრავლეს თავიანთი წვლილი რესპუბლიკის ეკონომიკისა და კულტურის განვითარებაში, რესპუბლიკისა, სადაც გადამწყვეტი ძვრები მოხდა. ამასთან საქართველოს დედაქალაქის პარტიული ორგანიზაცია, როგორც ყოველთვის, იდგა საქართველოს კომუნისტური პარტიის მოწინავე, მებრძოლი რაზმის პოსტზე.

● თბილისის 37-ე პარტიული კონფერენციის მუშაობა მიმდინარეობს დღეებში, რომლებსაც აცისკროვნებს სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1978 წლის ნოემბრის პლენუმის გადაწყვეტილებები, დასკვნები და დებულებები, რომლებსაც შეიცავს სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის ამ პლენუმზე წარმოთქმული მკაფიო, ღრმაშინაარსიანი, მეცნიერულად დასაბუთებული სიტყვა.

● დიდ წარმატებებს მიაღწია შემოქმედებითმა ინტელიგენციამ. მან მკითხველები, მსმენელები და მაყურებლები გაახარა ახალი წიგნებით, ფილმებით, სახვითი ხელოვნების ნაწარმოებებით.

დედაქალაქის მშრომელთა წარმატებანი განუყრელადაა დაკავშირებული სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და საბჭოთა მთავრობის ყოველდღიურ ზრუნვასა და კონკრეტულ დახმარებასთან.

## პარტიული მუშაკის ტრიბუნა

□

## თითოეული რომ მებრძოლი გახდეს!

ოქტომბრის რაიონის პარტიული ორგანიზაცია მორიგ საქალაქო პარტიულ კონფერენციას, ხატოვნად რომ ვთქვათ, აქტიური ბალანსით ხვდება. კონფერენციებს შორის განვლილი სამი წლის მანძილზე ბევრი რამ შეიცვალა. როცა ამაზე ფიქრობ, იმ დასკვნამდე მიდიხარ, რომ ის დადებითი, რასაც ჩვენ მივაღწიეთ, უწინარეს ყოვლისა, კომუნისტების, ყველა მშრომელის იდეური წრთობისადმი ყურადღების გაძლიერებისა და კადრებისადმი მომთხოვნელობის გაზრდის შედეგია.

რაიონული პარტორგანიზაციის მთელი იდეოლოგიური მუშაობა ეყრდნობა მშრომელთა აღზრდისადმი კომპლექსურ, სისტემურ მიდგომას, იდეურ-პოლიტიკური, შრომითი და ზნეობრივი აღზრდის მჭიდრო ერთიანობას მოსახლეობის სხვადასხვა ჯგუფის თავისებურებათა შესაბამისად. განსაკუთრებით დიდმნიშვნელოვანია, რომ ამით ყველაზე მიზანდასახულად დასაქმებული არიან პირველადი პარტორგანიზაციები. რაიკომის ორ პლენუმზე, პარტიული აქტივის კრებაზე, ახლახან გამართულ რაიონულ კონფერენციაზე ეს საკითხები აგრეთვე სათანადო სიღრმითა და პრინციპულობით აღიძრა.

ეს სავსებით სწორია. მარტო მტკიცე რწმენის, პრინციპულ პოზიციებზე მდგარ ადამიანს შეუძლია უწინამძღოლოს მასებს, უკომპრომისოდ ებრძოლოს ყველაფერს, რაც აფერხებს ჩვენს წინსვლას.

პოლიტმეცადინეობაზე, სადაც საძირკველი ეყრება მსოფლმხედველობას, ვცდილობთ ყოველი თეორიული საკითხი განვიხილოთ ყოველდღიურ პრაქტიკასთან, შრომითი კოლექტივების ცხოვრებასთან კავშირით. უდიდეს, მართლაც რომ ფასდაუდებელ როლს ასრულებს კადრების აღზრდის საქმეში ლ. ი. ბრეჟნევის დიდებული ნაწარმოებების „მცირე მიწის", „აღორძინებისა" და „ყამირის" შესწავლა.

კომუნისტებისა და აქტივის აღზრდა-სწავლაზე დადებით ზეგავლენას ახდენს სამეცნიერო-პრაქტიკული და თეორიული კონფერენციების გამოცდილება, რომლებიც იმართება ისეთ აქტუალურ საკითხებზე, როგორიც არის „მშრომელთა ინტერნაციონალური აღზრდა", „ფსიქოლოგიისა და პედაგოგიკის ელემენტები პარტიულ პროპაგანდაში", „ხელმძღვანელობისა და მართვის მეცნიერული საფუძვლები".

ჩვენ ვცდილობთ უზრუნველვყოთ პოლიტიკური და სამეურნეო საქმიანობის ერთიანობის პრინციპი, აღმოვფხვრათ ფაქტები, როცა ერთ შემთხვევაში მხოლოდ სამეურნეო საქმეებით არიან გატაცებული იდეურ-აღმზრდელობით მუშაობასთან შეუთავსებლად, სხვა შემთხვევაში კი პარტიულ-პოლიტიკური მუშაობა მოწყვეტილია სამეურნეო ამოცანებს.

მუდამ გვახსოვს, რომ აღმზრდელობითი და იდეოლოგიური მუშაობის წარმატება დამოკიდებულია პროპაგანდისტთა შემადგენლობაზე, და ვიზრუნეთ მათი შერჩევისათვის. ამჟამად რაიონის იდეოლოგიურ აქტივში საწარმო-დაწესებულებათა 270-ზე მეტი ხელმძღვანელი და მათი მოადგილეა, რაც ერთიორად და მეტად აღემატება სამი წლის წინანდელ მაჩვენებლებს.

პარტიულ ორგანიზაციებში საანგარიშო-საარჩევნო კამპანიების დროს კომუნისტებმა შეცვალეს ის ხელმძღვანელები, რომლებმაც ვერ გამოავლინეს პოლიტიკური მეთაურების თვისებები, ურიგდებოდნენ ნაკლოვანებებს. მაგალითად, ასე მოხდა სარეკლამო სააგენტო „ივერიის", შრიფტების ჩამომსხმელი ქარხნის, საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტროს გამოთვლითი ცენტრის პარტორგანიზაციებში. პარტიულ კრებებზე აღინიშნა, რომ ამ ორგანიზაციებში არსებული დარღვევები და ბოროტმოქმედება ლაყბობითა და თვალის ახვევით შენიღბული აპოლიტიკურობის შედეგი იყო.

პირველადს პარტორგანიზაციებთან, შრომითს კოლექტივებთან მჭიდრო ურთიერთობა პარტიის რაიკომს საშუალებას აძლევს იცოდეს ყოველივე, რაც ხდება იქ, ოპერატიული რეაგირება მოახდინოს საწარმოო პროცესში დარღვევის, კომუნისტების, განსაკუთრებით ხელმძღვანელთა უღირსი საქციელის ფაქტებზე, ჩააბას მასები ამა თუ იმ ნაკლის აღმოფხვრის ღონისძიებათა შემუშავებაში.

რაიკომი მაღალ მოთხოვნებს უყენებს კომუნისტებს და მათი პერსონალური საქმეების განხილვისას საჭირო ყურადღებასა და ობიექტურობას იჩენს.

აი მაგალითიც. საჩვენებელი რესტორნების ტრესტში გაერთიანებული ბუფეტების დირექტორი იყო კომუნისტი ტ. მ. ენუქიძე. თავის წარსულ საქმიანობაში არც იგი გამოირჩეოდა განსაკუთრებული პატიოსნებით. მაგალითად, თბილისის საქალაქო აღმასკომმა თავის დროზე გამოავლინა მის მიერ ჩადენილი დარღვევა ბინის გაცვლასთან დაკავშირებით. გამოვლენილი კერძომესაკუთრული ტენდენციებისათვის ტ. მ. ენუქიძეს სასტიკი საყვედური გამოუცხადეს საალრიცხვო ბარათში შეტანით. იგი გაათავისუფლეს თანამდებობიდან. ტ. მ. ენუქიძეს შესთავაზეს მუშათა სასადილოს გამგეობა, მაგრამ მან ეს შეურაცხყოფად მიიღო. გასაგებია, რომ გამპარტავნებულ ვაიხელმძღვანელებს რაიკომი, პირველადი პარტიული ორგანიზაციები განსაკუთრებით მკაცრად მოჰკითხავენ.

ჩვენ შევვიძლია აღვნიშნოთ, რომ რაიონში დისციპლინა გაუმჯობესდა. მაგრამ ჯერ კიდევ არ არის მიღწეული სასურველი მდგომარეობა. ამიტომ პარტიის რაიკომი კომუნისტებს რაზმავს ნეგატიური მოვლენების, წარსულის გადმონაშთების, კუდაბზიკობის წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერებისათვის.

დღეს უკვე საწარმოს ყოველი მეორე კომუნისტი მუშა კომუნისტური შრომის დამკვრელია. რაიონის მრეწველობა პრაქტიკულად ისე მუშაობს, რომ არ ჰყავს ჩამორჩენილი კოლექტივები, ხარისხიანნიშნიანი პროდუქციის რიცხვი 9-დან 32-მდე გაიზარდა.

შემოქმედებითი შრომის, ურთიერთდახმარების წყაროდ და ინტერნაციონალური აღზრდის საშუალებად გადაიქცა ჩვენი რაიონის მშრომელთა შეჯიბრება ქ. კიევის ოქტომბრის რაიონის, ქ. ბაქოს აზიზბეკოვის რაიონის, ქ. ერევნის ორჯონიკიძის რაიონის, ქ. თბილისის კიროვის რაიონის მშრომელებთან. შეჯიბრების ინიციატორები კომუნისტები არიან. ეს მათი მაღალი პოლიტიკური შეგნების კიდევ ერთი დადასტურება, პარტიის იდეალებისათვის მებრძოლთა ცხოვრებისეული პოზიციის გამოხატულებაა.

ა. აზიროვი,
საქართველოს კომპარტიის ქალაქ თბილისის ოქტომბრის რაიკომის პირველი მდივანი.

სიტყვა 70-იანი წლების კომუნისტებზე

## მუშური სინდისით

სტალინის სახელობის ელექტრო-ვაგონშემკეთებელი ქარხნის კოლექტივი წარმატებებთან ერთად მუდამ გამოირჩეოდა რევოლუციური ტრადიციებით, მონოლითურობით, საუცხოო დისციპლინით, სიახლის გრძნობით, ერთგულებით, ურყევი რწმენით... ამისათვის შორს წასვლა არ დაგვჭირდება, მეათე ხუთწლედის მიღწევებიც კმარა. მიუხედავად იმისა, რომ მრავალი წელია ქარხანა ხარაჩოებშია ჩასმული, და ეს მშენებლობა გზადაგზა ათასნაირ დაბრკოლებებს წარმოშობს, მისი კოლექტივი მაინც თავდადებულად შრომობს და ერთი წუთითაც არ აჩერებს ტემპს. აქ სიტყვა და საქმე ერთი იყო და არის, კეთილი სიტყვა რომ კეთილი საქმით არ დაგვირგვინდეს, არც მომხდარა და არც მოხდება. ამ საქმეებში რამდენი ვაჟკაცის მარჯვენის მადლია ჩაქარგული ჩამოთვლა ძნელია. ამ მრავალთაგან აქ ერთი წარჩინებული ელექტროზეინკლის ვლადიმერ ბეჟუაშვილის თავდადებულმა შრომამაც აიღო სათავე... ეს სათავე ამ ხუთი ათეული წლის წინათ დაიწყო და უძირო ზღვა გამოდგა.

ვლადიმერ ბეჟუაშვილი კვლავ მხნედ გამოიყურება, საშუალო ტანისაა, ჩაფსკვნილი, რომ შეხედოთ, ვერ იტყვით, თუ იგი სამოცდაათ წელს მიღწეული კაცია. მით უმეტეს, საქმეში არ იგრძნობა ეს.

ამ ქარხანაში 1928 წელს ბიძამ მოიყვანა, ცოტა ხანს თავისთან ამუშავა, მერე მისი აღზრდა მკლავმადლიან ზეინკალს თევდორე სოხაძეს მიანდო: — მე მაინც ბიძა ვარ, შეიძლება გამითამამდეს, საქმისათვის სჯობს შენ გაუწიო ზედამხედველობა. ჩემს ძმას ცხრა შვილი ჰყავს, ეგ ერთი მე წამოვიყვანე, თუ კაცად იქცევა, მისაბაძი იქნება უმცროსი და-ძმებისათვის, მეც სოფელში მისასვლელი პირი მექნება... აბა, შენ იცი!...

თევდორე სოხაძე ქარხნის თვალი იყო, ხელიდან, რომ იტყვიან, ოქრო გამოუდიოდა, მკაცრი იყო, მაგრამ კეთილი, უკანონოდ შენიშვნას არ მოგცემდა, არც ზემოდან დაგიწყებდა ყურებას, თვითონაც გამრჯე იყო და სხვასაც ამას მოუწოდებდა, ჰირივით სძულდა უქნარა და სხვის ჯამში მზირალი. მის მხარდამხარ კაცი თუ ვერ ივარგებდა, ეს იმას ნიშნავდა, წასული იყო მისი საქმე. ვლადიმერმა გაუმართლა ოსტატს იმედი.

— თევდორე, გაჯობა შეგირდმა! — მისი მისამართით ხშირად გაიგონებდით ამ სიტყვებს საამქროში. ის ხმას არ დაძრავდა, მხოლოდ გაიღიმებდა, რაც აღმზრდელთან ერთად აღსაზრდელსაც სიამაყეს მატებდა. ვლადიმერი მალე დამოუკიდებლად გაუძღვა საზეინკლო საქმეს.

— ახლა შენ იცი, შვილო, მუშურ სინდისს არ უღალატო, მარჯვენა არ გაიფუჭო, სიხარბემ არა გძლიოს, თუ გინდა კაცად დარჩე.

თევდორე სოხაძემ გულიანად გადაკოცნა ნაშეგირდალი და გზა დაულოცა.

ვლადიმერ ბეჟუაშვილი საამქროს თვალი გახდა, ოცდაერთი წლის კომკავშირელი ახალგაზრდა კომუნისტური პარტიის რიგებში შევიდა, კიდევ ერთი შრომითი ნახტომი და... მის მკერდზე შრომის წითელი დროშის ორდენი აკიაფდა... ჯილდოს ჯილდო მოსდევდა, საქმე საქმით მტკიცდებოდა, გადიოდა დღეები, მაგრამ ვლადიმერ ბეჟუაშვილის სახელს უფრო და უფრო ემატებოდა შნო და ლაზათი... 1970 წელს პენსიაზე რომ გააცილეს, ქარხნის რჩეულმა ადამიანებმა, რით აღარ შეამკეს მისი განვლილი გზა, ვლადიმერ ბეჟუაშვილმა მადლობაც კი გადაიხადა ასეთი დაფასებისათვის, შემდეგ დიდებული სუფრაც გაიშალა, აქ არ მოჰკლებია მადლიერებით სავსე სიტყვები, მაგრამ დილით პირველი საყვირის ხმა რომ გაიგონა და ფანჯრიდან გადაავლო თვალი ქარხნისკენ მიმავალ ამხანაგებს, გულმა აღარ მოუთმინა, ისიც დაეშვა კიბეებზე და დიდზე დიდი სიამაყის გრძნობით დაადგა იმ გზას, რომელსაც სიყმაწვილის წლებიდან მიჰყვებოდა.

— არა, არ შემიძლია, შინ უსაქმოდ ვერ გავჩერდები!

ქვეყნისა და ხალხის წინაშე ვალმოხდილის, ვლადიმერ ბეჟუაშვილის ეს სიტყვა თხოვნას კი არა, აღსარებას ჰგავდა... იმ დღიდანვე ელექტროსექციების შემკეთებელ საამქროში დაიწყო მუშაობა. ქარხანაში საამქრო მრავალია, ეს საამქრო უფრო პასუხსაგებია, აქ მომუშავე კაცს ასი თვალი და ასი ყური უნდა ჰქონდეს. აქ მონტაჟდება დიდი ძაბვის აპარატურა, აქ აწესრიგებენ ყოველგვარ ელექტროგაყვანილობას. საკმარისია ერთი უმნიშვნელო რამ ყურადღებიდან გამოგრჩეს, რომ მთელი თვის ნამუშევარი წყალში გადაიყაროს. აი ამ რთული საქმის შემოწმებას ემსახურება ვლადიმერ ბეჟუაშვილი.

აქვე უნდა ითქვას, რომ იგი მარტო ამ მუშაობით არ იფარგლება, დამრიგებლობითს მუშაობასაც ეწევა, ახსნა-განმარტებებს აძლევს მუშას, ასწავლის, გამოცდილებას უზიარებს, პირადი მაგალითით უჩვენებს, თუ როგორ უნდა გაკეთდეს საქმე... დავალებებს კი იგი, როგორც წესი, მუდამ გადაჭარბებით ასრულებს. ასეა მთელი საამქროც, რომლის პარტბიუროს მდივანი გახლავთ ვლადიმერ ბეჟუაშვილი. ამ საპატიო პოსტზე იგი მეათედ აირჩიეს და არც შემცდარან.

დღეს თუ საამქრო ყველა დავალებას უნაკლოდ და პირნათლად ართმევს თავს, ამაში დიდი წვლილი მიუძღვით კომუნისტებს. ასე იყო, ასე არის, ასე იქნება — ეს კანონია! ამ კანონის ერთი პირველი გამტარებელი იყო და არის ვლადიმერ ბეჟუაშვილი. იგი თავისი მუშური სინდისით სახელოვან კაცად იქცა, ბედნიერებას ეზიარა... ამ კაცობის, ჭეშმარიტი კომუნისტური საქმეების გამო თბილისის 37-ე პარტიული კონფერენციის დელეგატად აირჩიეს.

ღირსეული დელეგატი კვლავაც ღირსეულად გაამართლებს ამ დიდ ნდობას.

ვახტანგ გორგანელი.

იცნობდეთ თბილისის XXXVII საქალაქო კონფერენციის დელეგატს



ვლადიმერ ბეჟუაშვილი.

თბილისი — ინტერნაციონალისტთა ქალაქი

□ □

## დარიო სუარესის ბედნიერება

**თბილისის ტრიკოტაჟის საცვლის გაერთიანების საქსოვი მანქანების მერემონტეთა ბრიგადამ, რომელსაც სათავეში უდგას დარიო სუარესი, მუშაობა დაიწყო 1980 წლის ანგარიშში.**

ახლახან სუარესი ესპანეთიდან დაბრუნდა, სადაც უფროსი და და ნათესავები ინახულა.

— მე დავრწმუნდი, რომ ესპანელმა მშრომელებმა დღეს საბჭოთა კავშირის შესახებ მეტი იციან, ვიდრე ოდესმე და კეთილად არიან განწყობილი ჩვენი ქვეყნისადმი.

...ესპანეთი. 1937 წელი, ფრანკისტული ტერორის საშინელი დღეები სამუდამოდ დაამახსოვრდა დ. სუარესს.

ერთხელ მეზახტის, რესპუბლიკელი ხოსე სუარესის სახლის წინ პოლიციის მანქანა გაჩერდა. სახლში მძიმედ ახმაურდა ფიცრები, დაიწყო ჩხრეკა. ფაშისტებმა ყველაფერი გადაქექეს, სცემეს დარიოს დედა. მამა შინ არ იყო და პოლიციელებმა მისი დაჭერა ვერ მოახერხეს. როცა ისინი ხელმეორედ დაესხნენ თავს ხოსეს სახლს, შინ არავინ დაუხვდათ — დედა, უფროსი ძმა გრაციანო და მერსედესი ნათესავებთან იმალებოდნენ, ხოლო თორმეტი წლის დარიო იმ ათასი პატარა ესპანელის — რესპუბლიკელი გმირების ბავშვთა შორის იყო, რომლებიც საბჭოთა გემებით „ფელიქს ძერჟინსკითა" და „კოოპერაციით" საბჭოთა ქვეყნის ნაპირებს მოადგნენ.

ლენინგრადის ბლოკადის შემდეგ დარიო საქართველოში ჩამოვიდა, რომელიც გულთბილად შეხვდა ესპანეთის შვილებს, და მუშაობა დაიწყო თბილისის ტრიკოტაჟის სართავ კომბინატში, რომელსაც თავისი ცხოვრების 35 წელი მიუძღვნა.

— საქართველო ჩემი მეორე სამშობლოა, — ამბობს დარიო. — აქ მე და სხვა ესპანელებმაც ბედნიერება ვპოვეთ. აქ შევქმენი მტკიცე მეგობრული ოჯახი. ჩემი მეუღლე ევგენია ინაშვილი საწარმოს მთავარი ინჟინრის მოადგილეა. ბედნიერი ვარ, რომ ჩემს სამ შვილს არ განუცდია ის გაჭირვება და უბედურება, რაც მე გადავიტანე.

რ. მეგრელიშვილი,
(საქინფორმის კორ.).

## რწმენის ორდენის კავალერი

ძველი ბოლშევიკის მიმართვა პარტიისადმი

I.

სულით და ხორციდ რაკი ვარ შენი,
ხათქმელს პირდაპირ ვიწყებ, პარტიავ!
თუ შემუშალოს წამომეშველო,
თუ დავაშავო არ მაპატიო.
პირდაპირობა ხომ შენ მასწავლე,
ხომ შენ მასწავლე ფასიც სიმართლის,
ვარ შენი ხნულის ერთი მარცვალი,
ერთი ხხივი ვარ შენი ხინათლის.
შენი ნაწრთობი გული ისევე
შენი მიზნების იალაღია.
მოგონებებში განა ვისვენებ,
მოგონებებიც იარაღია.
შენი სიწმინდე რაკი ვიწამე —
ხარ ჩემი ხატი და სალოცავი.
მე შენ გეკუთვნი ცოდან — მიწამდე,
მე შენ გეკუთვნი სულით — ხორცამდე.
მაგრამ ახვევ ებებს გამხელილს
უნდა სიმართლეც დროზე აჰყენო,
რომ ვინმემ ისევ შენივ სახელით
შენს სახელს ჩრდილი არ მიაყენოს.
მტერს თუ მოყვარეს უნდა გარჩევა,
დახვედრა უნდა მტერს თუ მოყვარეს.
ბევრს აჭერი სამტრო მარჯვენა,
ბევრი დუშმანის ქედიც მოხარე.
ვინც შენს სახელთან მტრობით მისულა
შენთან ჭიდილში ბედი დაეწვა.
შენი დაცემა ვინც კი ისურვა
შენგან ძლეული თვითონ დაეცა.
რადგან რაინდთა ჯარი გყოლია
არ წაგიგია ომი არცერთი.
შენ არასოდეს არ გიბრძოლია
დაქირავებულ ჯარისკაცებით.

II.

არც ღმერთი იყავ და არც მისანი,
ლაპარაკობდი ხალხის სიტყვებით.
იყო ნათელი შენი მიზანი,
და გასაგები შენი ფიქრები.
დროშად სიმართლე ააფრიალე,
და მიშუშებდი ყველა იარას.
იყავი ჩემი ბედის ზიარი,
ჩემი ცხოვრების გზებით იარე.
შენი სახელი იყო ხანგარი,
მახვილიც იყო შენი სახელი.
ყველა მაშვრალს და ბედით გათელილს
გულში აუნთე რწმენის ნათელი.
ხალხის ბორკილი, ბოღმა და წყენა
შენი სიმართლის მახვილით გასჭერ.
შენ გამოსტაცე ქართული ენა,
მეფის ტახტსა და არწივის კლანჭებს.
შენ მომავალი მომეც იმედად,
და შემინახე დიდი წარსულიც.
(იმაზე დავას ვინ გამიბედავს
რაც მიმილია შენი დასტურით).
თქვი: რომ იქნები იმათი მტერი,
ვინც თესავს ხალხში შურსა და მტრობას.
აქვთ ერთი ენა, რჯული და ფერი,
თავისუფლებას, მშვიდობას, ძმობას.
თქვი: ეს სამყარო, ეს დედამიწა
ძღუთვნის მას, ვინც ჰქმნის, აშენებს.
თქვი და ნათქვამი ბრძოლით დაიცავ,
ვერ გაგტეხეს და ვერ დაგაშინეს.

III.

არაფერს ვითხოვ სიმართლის გარდა,
სიმართლე ხშირად პურზე მეტია.
ჩემთვის ის წლები ცუდ სიზმარს ჰგავდა
და ბორკილივით უნდა მეთრია.
როცა მესმოდა სხვა ხმა და ჰანგი
ემსგავსებოდა ფიქრი იარას.
ეპარებოდა ნელნელა ჟანგი,
რწმენას! — პარტიის ამ ბასრ იარაღს.
ვისაც შენი გზის არაფერი სწამდა,
მიჰქონდა მათი ხახის ყურება.
ვინც პირფერობდა, გაქცია ანდა
ცხოვრების კიბის საფეხურებად.
ვისაც საკუთარ ბედეულის გარდა
სხვა საზრუნავი არასდროს ჰქონდა.
ვინც შენს სახელს და შენს წმინდა
მანდატს
უმზერდა როგორც წვიმაში ქოლგას...
და მე ვუხმობდი იმ მამაც მხედართ,
რევოლუციის იმ ჯარისკაცებს,
ვინც სიცოცხლეზე ათასჯერ მეტად
შენს სახელსა და რწმენას იცავდნენ.
განა ითხოვდნენ საგზურს ტურისტის:
ლონდონში, ანდა პარიზში, რომში.
მომავლისა და შენი გულისთვის
ისინი წასვლას ითხოვდნენ ომში.
განა წუწუნით, შიშით, გოდებით
სიტყვები იყო ძუნწი და მოკლე:
— მტერთან ბრძოლაში თუ კი მოვკვდები,
მსურს კომუნისტის სახელით მოვკვდე!

# ლენინური ხელმძღვანელობის ძალა

## საზოგადოებრივი აღმასვლა, საყოველთაო აღიარება, ნათელი პერსპექტივა

1.

**მთელი** თავისი დიდი და სახელოვანი ისტორიის მანძილზე სკკპ ცენტრალური კომიტეტი თავის მრავალმხრივ, ტიტანურ მოღვაწეობაში ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ადგილს უთმობდა ადგილობრივი პარტიული ორგანიზაციების მუშაობას, მათდამი მუდმივ ხელმძღვანელობასა და დახმარებას. ამის ერთ-ერთი, უაღრესად ნათელი დადასტურება თუნდაც საქართველოს კომპარტიის მჩქეფარე ცხოვრება ბოლო შვიდწლედში.

რესპუბლიკის პარტიული ორგანიზაციების შესახებ მიღებული სკკპ ცნობილი დადგენილებების განხორციელებისათვის საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მიერ გატარებულმა ღონისძიებებმა უზრუნველყვეს რესპუბლიკის იდეურ-პოლიტიკური და ეკონომიკური აღმასვლა, მთელი საზოგადოებრივი ცხოვრების შინაარსის გამდიდრება, ნეგატიური მოვლენების წინააღმდეგ ბრძოლის უდავო წარმატება და პარტიული ორგანიზაციების ქმედითუნარიანობისა და ავანგარდული როლის არსებითი ამაღლება.

პარტიის თბილისის კომიტეტის მუშაობის თაობაზე სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1972 წლის თებერვლის დადგენილებისა და პოლიტბიუროს მითითებით ორგანიზაციულ საკითხზე საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის 1972 წლის სექტემბრის პლენუმის უმნიშვნელოვანესი გადაწყვეტილებების შემდეგ უპირველეს ყოვლისა დაისახა კადრების პოლიტიკაში დაშვებული შეცდომების დაძლევის გზები. გაწმენდილ იქნა უღირსი, უქნარა, ყალბისმქმნელი მუშაკებისაგან პარტიული, საბჭოთა, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანოების უკლებლივ ყველა რგოლი.

სწრაფად ხდებოდა პარტიული და სახელმწიფო დისციპლინის განმტკიცება. არსებითად ბოლო მოეღო მოშლილობასა და დაუდევრობას, დოყლაპიობასა და ბიუროკრატიზმს, საქმისადმი უპასუხისმგებლო დამოკიდებულებას. განხორციელდა გამოუსწორებელი მუქთახორებისა და მათი მაჩანჩალების მიმართ მკაცრი სასჯელის ზომები. თავის უფლებებში აღდგა კრიტიკა და თვითკრიტიკა, რამაც მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი პარტიული, სახელმწიფო და შრომითი დისციპლინის განმტკიცებას.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა თავის მრავალმხრივ მოღვაწეობაში დიდი ადგილი დაუთმო იდეოლოგიურ მუშაობას. ცენტრალური კომიტეტი განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა კომუნისტებში საზოგადოებრივი მოვლენების შეფასებისადმი კლასობრივი, პარტიული მიდგომის ფორმირებას, მათს აღზრდას პოლიტიკური სიფხიზლის, კომუნიზმის იდეალებისადმი, პარტიის, საბჭოთა პატრიოტიზმისა და პროლეტარული ინტერნაციონალიზმის საქმისადმი ერთგულების, ბურჟუაზიული იდეოლოგიისა და მორალისადმი შეურიგებლობის სულისკვეთებით მშრომელ მასებში ღრმა კომუნისტური იდეურობის ჩამოყალიბებას.

მაგრამ ხელმძღვანელობის არამეცნიერული სტილის მავნე შედეგები მარტო კადრების პოლიტიკაში დაშვებული უხეში შეცდომებით, პარტიული და სახელმწიფო დისციპლინის შესუსტებით და პარტიულ-ორგანიზაციული და იდეოლოგიური მუშაობის მოდუნებით როდი გამოიხატა. მან ასევე დიდი ზიანი მიაყენა რესპუბლიკის ეკონომიკურ ცხოვრებას, უკან დასწია საქართველოს ეკონომიკური.

2.

ეკონომიკურ სფეროში რესპუბლიკის ჩამორჩენილობა, მისი არასახარბიელო მდგომარეობა, რომელიც გრძელდებოდა არა ერთი და ორი წელი, არამედ მთელი 10-15 წელი, მრავალ გადამწყვეტ დარგში ჰპოულობდა თავის გამოხატულებას. ყველაზე სრულად იგი გამოვლინდა ეკონომიკური განვითარების დონის განმაზოგადებელი მაჩვენებლის — ერთ სულ მოსახლეზე ეროვნული შემოსავლის წარმოების დარგში. მაგალითად, 1958 წელს ერთ სულ მოსახლეზე ეროვნული შემოსავლის წარმოების მიხედვით ჩვენი რესპუბლიკა 14 პროცენტით ჩამორჩებოდა საერთო-საკავშირო დონეს. ჩამორჩენა სულ უფრო და უფრო იზრდებოდა, 1971-1972 წლებში ეს სხვაობა 29,8 პროცენტამდე გაიზარდა. ამ დროისათვის სამრეწველო წარმოების მოცულობის საშუალო წლიურმა ტემპმა ძლივს შეადგინა 2,5 პროცენტი. განსაკუთრებით საგრძნობი იყო მოსახლეობის ერთ სულ მოსახლეზე სამრეწველო პროდუქციის წარმოების მოცულობის მხრივაც რესპუბლიკის ჩამორჩენა.

ჩამორჩენილობის თითქმის ასეთსავე სურათს წარმოადგენდა რესპუბლიკის სოფლის მეურნეობაც. როგორც საქართველოს კომპარტიის XXV ყრილობაზე აღინიშნა, რესპუბლიკის სოფლის მეურნეობამ 15 წლის მანძილზე სახელმწიფოს დააკლო 2 მილიონ 200 ათასი ტონა მარცვლეული, 500 ათასი ტონა ბოსტნეული, 700 ათასი ტონა კარტოფილი, 400 ათასი ტონა ხილი, 403 ათასი ტონა ყურძენი, 312 ათასი ტონა ხორცი, 2 მილიონ 300 ათასი ტონა რძე და სხვ.

**რაზე მიუთითებენ მოტანილი ფაქტები?** იმაზე, თუ რამდენად მძიმე აღმოჩნდა ჩვენი რესპუბლიკის ეკონომიკურ ცხოვრებაზე ხელმძღვანელობის სუბიექტივისტური და ვოლუნტარისტული სტილის მავნე გავლენა. ეს ფაქტები მიუთითებენ აგრეთვე იმაზე, თუ რამდენად დიდი და მტკივნეული აღმოჩნდა რესპუბლიკის ზოგიერთი ხელმძღვანელის დანაშაული პარტიის წინაშე, მშრომელების წინაშე, მთლიანად ერის წინაშე.

ამასთან ყველა მონაცემი მოწმობდა იმას, რომ არსებობდა რესპუბლიკის ეკონომიკის შემდგომი დაცემის კიდევ უფრო გაღრმავების საშიშროება.

**გასაგებია, რომ არ შეიძლებოდა ასეთ მდგომარეობაში რესპუბლიკის ეკონომიკის დატოვება. საჭირო იყო მდგომარეობის დაუყოვნებლივ გამოსწორება.**

სწორედ ამ სასიცოცხლო მნიშვნელობის საქმეს ემსახურებოდა სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1974 წლის 14 იანვრის დადგენილება საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის შემდგომი განვითარების ღონისძიებათა შესახებ. დადგენილებაში განსაზღვრულია ჩვენი რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის განვითარების ძირითადი მიმართულებანი მრეწველობის, სოფლის მეურნეობის, მშენებლობის, ხალხის კეთილდღეობის გაუმჯობესების დარგში.

ამ დადგენილების პასუხად რესპუბლიკის კომუნისტებმა, ყველა მშრომელმა ერთსულოვნად მოჰკიდეს ხელი მათ წინაშე დასახული საარსებო მნიშვნელობის საბრძოლო პროგრამის განხორციელებას.

შედეგები ნათელია. საქართველოს კომპარტიის მიერ გატარებულ ღონისძიებებსა და რესპუბლიკის მუშათა კლასის, კოლმეურნე გლეხობისა და ინტელიგენციის ერთსულოვნებასა და თავდადებულ შრომას მოჰყვა სათანადო შედეგები. წარმატებით იქნა ლიკვიდირებული ეკონომიკური ჩამორჩენა.

კერძოდ, სწრაფად ხდებოდა მდგომარეობის გამოსწორება მრეწველობაში. ამაზე ნათლად მეტყველებს რამდენიმე დამახასიათებელი ციფრი: 1971-1972 წლებში მრეწველობის ზრდის საშუალო-წლიურმა ტემპმა 2,5 პროცენტი შეადგინა, მეათე ხუთწლედის პირველი სამი წლის მანძილზე კი სამრეწველო წარმოების მოცულობა გადიდდა 21 პროცენტითა და მეტად ხუთწლიანი გეგმის დავალებით გათვალისწინებული 17,8 პროცენტის ნაცვლად. 1978 წელს სამრეწველო პროდუქციის ზრდის ტემპმა შეადგინა 7,1 პროცენტი. რესპუბლიკის ეკონომიკის განვითარების მთავარ მაჩვენებელს შეადგენს ეროვნული შემოსავლის ზრდა. მეათე ხუთწლედის სამი წლის განმავლობაში რესპუბლიკის ტერიტორიაზე წარმოებული ეროვნული შემოსავლის მოცულობა 22,9 პროცენტით გაიზარდა გეგმით გათვალისწინებული 16,1 პროცენტის ნაცვლად. თუ 1971-1973 წლებში ეროვნული შემოსავლის საშუალო წლიურმა მატებამ 3,4 პროცენტი შეადგინა, მეათე ხუთწლედის სამ წელიწადში ამ მაჩვენებელმა 7,1 პროცენტს მიაღწია. ეროვნული შემოსავლის ზრდის ტემპის მხრივ ჩვენს რესპუბლიკას 1971-1972 წლებში მე-12 ადგილი ეკავა. 1976-1977 წლებში კი მან მესამე ადგილზე გადმოინაცვლა.

წარმატებით ჩქარდებოდა სასოფლო-სამეურნეო წარმოების ზრდის ტემპი. საკმარისია ითქვას, რომ დაახლოებით უკანასკნელი 20 წლის მანძილზე რესპუბლიკამ მეცხრე ხუთწლედში პირველად შეასრულა მიწათმოქმედებისა და მეცხოველეობის ძირითადი პროდუქტების დამზადების გეგმა, და როგორც ეს აღინიშნა საქართველოს კომპარტიის XXV ყრილობაზე, პირველად მიაღწია ეკონომიკის ამ დარგში წარმოების ზრდის უფრო სწრაფ ტემპს, ვიდრე საშუალოდ საბჭოთა კავშირში იყო. უკანასკნელი სამი წლის მანძილზე კიდევ უფრო შესამჩნევი ძვრები მოხდა სოფლის მეურნეობაში. კერძოდ 1976-1978 წლებში სოფლის მეურნეობის მთლიანი პროდუქციის საშუალო წლიური მოცულობა მეცხრე ხუთწლედის დონესთან შედარებით გადიდდა 27,8 პროცენტით ხუთწლიანი გეგმით გათვალისწინებული 22 პროცენტის ნაცვლად. თავი ისახელეს რესპუბლიკის მეჩაიეებმა. მათ უკვე დაძლიეს ხუთწლედის ბოლოსათვის დასახული მიჯნა, 1978 წელს მოიკრიფა ყურძნის რეკორდული მოსავალი.

შეიძლებოდა მოგვეტანა ჩვენი რესპუბლიკის მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის განვითარების მაღალი ტემპების მაჩვენებელი მრავალი სხვა საყურადღებო ციფრი, მაგრამ მოტანილიც სავსებით საკმარისია იმისათვის, რომ ნათლად წარმოვიდგინოთ სახალხო მეურნეობის ამ უმნიშვნელოვანეს დარგში მომხდარი დიდი გარდატეხის მასშტაბები.

როგორც რესპუბლიკის მშრომელების — მუშების, კოლმეურნე გლეხების, ინტელიგენციის საგმირო საქმეების, საქართველოს კომპარტიის წარმმართველი ხელმძღვანელობის პასუხი და მათთვის დიდი წარმატებების მილოცვა, ისე გაისმა 1973, 1974, 1975, 1976 და 1977 წლებში საქართველოს დაჯილდოება სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, საკავშირო პროფსაბჭოს და სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშით.

# კომპარტიის ავანგარდული რაზმი!

## ნოდარ ჯალაღონია

კიდეც კვდებოდნენ, კვდებოდნენ კიდეც,
ჰკითხეთ ლენინგრადს, სტალინგრადს
ჰკითხეთ,
ამოხდებოდა სული პირს ვიდრე
შენთვის იბრძოდნენ და ფეხზე იდგნენ.
არც ჩინი, სკამი, ბინის ორდერი,
არ აწვალებდა მაშინ გონებას.
მკერდზე წითელი სისხლის ორდენი,
ეს იყო მთელი ჩვენი ქონება.
და გვახელებდა ასე ქილიკიც
პარტიის წევრზე (თან ხაქმოსანზე).
— ქურდი? რას ამბობთ, იგი პირიქით
იყო იმდენად „პატიოსანი“, —
ფულს, ბრილიანტებს და ოქროს თუმნებს
დღე ლანძღავდა და ღამე ითვლიდა,
იგი პარტიის საწევროს თურმე
ქრთამად აღებულ ფულზეც იხდიდა.
ასეთი კაცის გული და გონი
პარტიავ შენად არასდროს გთვლიდა.
შენი სახელი ეს იყო ქონი,
რომელსაც იგი ნელნელა თლიდა.
მათი შემყურე ბორგავდა გული,
მიწყალდებოდა ძარღვებში სისხლი,
ათას ქარცეცხლში გავლილი სული
ითხოვდა პასუხს — რისთვის?! და ვისთვის?!
ვისთვის გავლიეთ ძნელი აღმართი,
რისთვის ვიტანდით ყინვას თუ სიცხეს.
ნუთუ ამისთვის, ნუთუ ამათთვის,
დავღვარეთ ოფლი, ცრემლი და სისხლი.
სად გაგონილა, როდის ან ვინ თქვა,
საქმე საზღაპრო და საარაკო.
სკამის ჭიამ და ოთახის ვირთხამ
ხალხის სახელით ილაპარაკოს.
მაგრამ მათ ქერზე შენი სახელი
ეკიდა როგორც ხმალი დამოკლეს.
აღარ ეწერა არსება გრძელი
მათ მიზანს, მათი სულივით მოკლეს.
და როგორც მუდამ (ვითარცა გშვენის)
უზღე კუთვნილი მტყუანს თუ მართალს,
და ჩააბარე კვლავ დროშა შენი
ხალხს! ყველა შენი ბრძოლების სარდალს.

IV.

პარტიავ! ბრძოლა დასრულდა განა?!
განა დამდგარა სიმშვიდის ხანა?!
ახლა ისინი მეჩეჩებს ჰგვანან
და გულში ჩუმად ლესავენ დანას.
თუმცა დღეს ხრიან მორჩილად კისერს,
ამკობთ ღიმილი და სიტყვა ტკბილი,
დროს, დროს უცდიან, რომ უმალ ისევ
გამოაჩინონ ბრჭყალიც და კბილიც.
ქამელეონის ზნითა და ფერით
დღესაც თაღლითობს, ორპირობს ვიღაც.
აშკარა მტერზე უფრო მტერი,
ის, ვინც იფარებს სახეზე ნიღაბს.
ჭრელია ალბათ მისი ბუნებაც,
ჭრელია, ანდა ბრიყვი არის ის —
ვინც ზომავს რწმენას, შენს ერთგულებას,
ან ფულით, ანდა სკამის ხარისხით.
ისიც ბრიყვია, აფუჭებს საქმეს,
(ისე, რომ თვითონ არც იცის ხქნებ)
ის, ვინც შენს სახელს, სიტყვას და სათქმელს
თითზე იხვევს და ჯოხივით იქნევს.
მაღლა თუ დაბლა, ზემოთ თუ ქვემოთ
ვინმე სხვა თვალით თუ გიმზერს კიდევ.
იცოდეს ყველამ პარტიავ ჩემო!
შენა ხარ დროშა და არა კიბე,
შენა ხარ გული და არა უბე,
შენა ხარ სული და არა ცური.
შენ ხარ მდინარე და არა გუბე,
შენ ხარ ჰაერი, შენა ხარ პური.
შენა ხარ ხატი და არა სკამი,
შენა ხარ რწმენა და ხალხის ღონე.
შენ არასოდეს უყვარდი, წამდი
სტომაქისა და სავარძლის მონებს.
მაგრამ ისინი წვეთია ზღვაში,
სხვა არის შენი კვირტი და ფესვი.
არა, ის ყალბი სიტყვა და ტაში
არა, ის ჩუმი ბოღმა და ჯესლი.
არამედ საქმით და მხოლოდ საქმით,
შენი სახელი ვინც ცად აზწია.
ვინც ფოლადს ადნობს, აშენებს, ან მკის,
პარტიავ, შენი ჯარისკაცია!
ვინც აგებს ქარხნებს, დაბებს, მოედნებს,
ან კოსმოსამდე ვინც აალწია.
ყველა, მართალი გულის პოეტი,
პარტიავ, შენი ჯარისკაცია!
მხოლოდ ხალხია შენი სიმაგრე,
(და არა ის ვინც მოდის და მიდის),
შენი სინდისი, შენი სიმაღლე,
შენი სიცოცხლის ფესვი და კვირტი.
მხოლოდ ისინი, მხოლოდ ისინი,
მტვრით და ბალახით არ იფარება.
და შენთვის დაღვრილ ჩემი სისხლივით
ალალი არის ეს აღსარებაც.
რაც ვიღაღადე და რაც გითხარი,
სიმართლესავით არის შიშველი.
თუ შიგ სიყალბე იყოს მისხალი —
შენი ხმალი და ჩემი კისერი...
რადგან რაინდთა ჯარი გყოლია
არ წაგიგია ომი არცერთი,
შენ არასოდეს არ გიბრძოლია
დაქირავებულ ჯარისკაცებით.

## ახლდება, მშვენდება...

სიამაყის გრძნობა ეუფლება თითოეულ თბილისელს, როცა მთაწმინდის პლატოდან დაჰყურებს ჩვენს საყვარელ, თხუთმეტსაუკუნოვან დედაქალაქს. როგორ გაიზარდა და დამშვენდა იგი, რამდენი ახალი რაიონი, უბანი თუ გამზირი იშვა ჩვენს დროში.

თბილისელებს ახალმშენებლობებთან ერთად, გვახარებს ის დიდი მზრუნველობა, რომელსაც ჩვენი პარტია და მთავრობა იჩენენ ძველი ქალაქის ისტორიული ნაწილის შენარჩუნებისა და განახლებისათვის.

ამ წერილში ძველი თბილისის ახალ სიცოცხლეზე გვინდა გიამბოთ.

# თხუთმეტსაუკუნოვანი ჭაბუკი

## ძველი თბილისის ახალი სიცოცხლე

უკვე მეორე წელია ბარათაშვილის ქუჩის დასაწყისში რესტავრაცია გაუკეთეს რამდენიმე საცხოვრებელ სახლს და მთელი თავისი ბრწყინვალებით გამოიკვეთა გასული საუკუნის ჩვენი დედაქალაქისთვის დამახასიათებელი ხის მოჩუქურთმებული, აივნიანი სახლები, შეიქმნა ძველი თბილისის კოლორიტული კუთხე.

ეფექტი იმდენად ძლიერია, რომ დღეს მის სანახავად ჩვენს ქალაქში ჩამოსული თითქმის ყველა სტუმარი მოჰყავთ.

საქართველოს დამსახურებული არქიტექტორის შოთა ყავლაშვილის პროექტით რესტავრირებული ამ სახლებით არ ამოიწურება ძველი თბილისის ერთ-ერთი უბნის განახლება. ბარათაშვილის ქუჩის ნომერ ცამეტ სახლს კიროვის რაიონის სამშენებლო-სარემონტო კანტორის მუშები ბულდოზერით მისდგომიან და ანგრევენ. რესტავრირებული იქნება ნომერ თხუთმეტი, ჩვიდმეტი, ცხრამეტი სახლებიც, რომლებიც ისეთივე ბრწყინვალებით აღდგებიან, როგორც ქუჩის დასაწყისში მდებარე ნაგებობები. შავთელისა და ჩახრუხაძის ქუჩების მიმდებარე ტერიტორიის რესტავრაციით საჩინო გახდება მეექვსე საუკუნის ქართული ხუროთ-მოძღვრების ძეგლი — ანჩისხატი.

კეთილი, მზრუნველი ხელი დაეტყო ძველი თბილისის მიდამოებს. განა შეიძლება ადამიანმა გულგრილად უყუროს, როგორ დამშვენდა ბარათაშვილის ძეგლის მიდამოები. რამდენიმე თვეა ბარათაშვილის აღმართზე ერთგან კლდე ჩამოინგრა, დაიწყეს მისი გასამაგრებელი სამუშაოები. ამასთან ამოჰყავთ ამ კლდის ქიმზე გამავალი გალავნის კედლები. „თბილისქალაქპროექტის“ მეოთხე სახელოსნოში შ. ყავლაშვილის ხელმძღვანელობით დამუშავდა კლდის ზედა ტერასაზე დასასვენებელი ადგილის პროექტი. აქედან ხომ თბილისის უნიკალური ხედი იშლება.

საგრძნობლად იცვალა სახე ძველი რიყის მიდამოებმა, რომელსაც კლდის ქიმიდან დარეჯანის სასახლე-„საჩინო“ გადმოჰყურებს, მას თბილისის არქიტექტურულ ძეგლებს შორის განსაკუთრებული ადგილი უჭირავს. დარეჯანის სასახლე ხარაჩოებშია. აღარ მოჩანს მისი ლამაზი მრგვალი აივანი, რომელიც კარგად არის ამ მიდამოების ლანდშაფტში ჩახატული. რესტავრაციის შემდეგ იგი კვლავ გამობრწყინდება.

„თბილისქალაქპროექტის“ ინსტიტუტში ჩამოყალიბებულ თბილისის ისტორიული ნაწილის რეკონსტრუქცია-რეგენერაციის არქიტექტურულ სახელოსნოში დამუშავდა სასახლისა და მისი მიდამოების რესტავრაცია-რეგენერაციის პროექტი (ავტორები — გ. ჯაფარიძე, ვ. ორბელაძე), ამჟამად მიმდინარეობს გალავნის ბურჯების გაწმენდა-ამოშენება. მალე აღდგება გალავნიდან სანაპიროსაკენ ჩასასვლელი გზა. გაიწმინდა და რესტავრირებულია კარის ეკლესიის შიდა ნაწილი.

დარეჯანის სასახლიდან ულამაზესი ხედი იშლება, შორს მოჩანს მრავალჰირინხული ნარიყალას ციხის ქონგურები, ტერასებად შეფენილი აივნიანი სახლები, ეკლესიის გუმბათები... აქედან ნათლად ისახება ძველი ისტორიული თბილისის საზღვრები, რომელიც სახელმწიფო დაცვის ზონად არის გამოცხადებული.

— ჩვენი არქიტექტორები საფუძვლიანად სწავლობენ ძველი თბილისის ამ ზონის ნაგებობებს, — გვეუბნება სახელოსნოს უფროსი გ. ბათიაშვილი, — ადგენენ სარეკონსტრუქციო — სადაპტაციო სამუშაოების გეგმას. მუშაობენ ისტორიული ნაწილის რესტავრაცია-რეგენერაციის პროექტზე.

გარკვეული პერიოდის მუშაობამ დაგვანახა, რომ ძველი თბილისის ნაკრძალის საზღვრები ერთგვარ გადასინჯვას მოითხოვს, რომ არქიტექტორთა ასეთივე შესწავლასა და შესაფერისი ღონისძიებების დასახვას მოითხოვს სოლოლაკის, რუსთაველის პროსპექტის, მამადავითის ფერდობების, პლეხანოვის გამზირისა და ქალაქის სხვა უბნები.

გარდა არქიტექტურულ-მეცნიერული ხასიათის შესწავლისა მიმდინარეობს სოციოლოგიური გამოკვლევაც. ისტორიულად ჩამოყალიბებული ქალაქი არ შეიძლება განვიხილოთ როგორც მუზეუმი, ის არსებობს და იარსებებს როგორც ქალაქის განუყოფელი ნაწილი, მისი ცოცხალი ორგანიზმი. ეს იმას ნიშნავს, რომ ძველ სახლებში დარჩენილთ უნდა შევუქმნათ ცხოვრების თანამედროვე მოთხოვნილებათა შესაბამისი კომფორტი. ნაგებობათა ძეგლი, პირვანდელი სახის აღდგენასთან ერთად, მათ ზოგიერთ შემთხვევაში, ახალი დანიშნულება იმდაგვარად უნდა მივცეთ, რომ არ შევლახოთ მისი არქიტექტურულ-ისტორიული ღირებულება.

დაიწყო ქალაქის ულამაზესი ადგილის, მეტეხის პლატოს რეკონსტრუქცია, მეტეხის აღმართზე, ნომერი სამი და ხუთი სახლები რესტავრირებული იქნება და მათ თბილისური, მოჩუქურთმებული აივნები დაამშვენებს.

მთავრდება ძველი თბილისის მთავარი ქუჩის — სიონისა და მისი მიმდებარე ტერიტორიის რეკონსტრუქციის პროექტზე მუშაობა.

ძველი თბილისი სახეს იცვლის, ყველაფერი კეთდება იმისათვის, რომ ძეგლთა დაცვა და გამოყენების საკითხები თანამედროვე მოთხოვნათა დონეზე გადაწყდეს.

ლარისა ხუგულური.



თბილისი დღეს.

ვ. მაჩაბლის ფოტო.

თბილისის საქალაქო პარტიული ორგანიზაცია პარტიული მუშაობის სამეცნიერო ლაბორატორიაა მთელი საქართველოს კომუნისტური პარტიისათვის. თბილისის პარტიული ორგანიზაცია მთელი რესპუბლიკის კომპარტიის ავანგარდული რაზმია.

ე. შევარდნაძე.

● საქალაქო პარტიული ორგანიზაცია თავის 37-ე კონფერენციას ეკონომიკის განვითარებაში მიღწეული დიდი წარმატებებით შეეგება.

ქალაქის მრეწველობა მზარდი ტემპით ვითარდება. პროდუქციის რეალიზაციის მოცულობისა და ნაწარმის ძირითად სახეობათა წარმოების წლიური გეგმა შესრულდა 25 დეკემბრისათვის, ხოლო ხუთწლედის სამი წლის დავალება — 12 დეკემბრისათვის, როგორც ვალდებულებებით იყო გათვალისწინებული. გეგმის გადამეტებით წარმოებულია 45 მილიონი მანეთის სამრეწველო პროდუქცია. სამრეწველო წარმოების მოცულობა გაიზარდა 7,9 პროცენტით 6,7 პროცენტის ნაცვლად, როგორც სოციალისტური ვალდებულებებით იყო გათვალისწინებული.

კონფერენციიდან კონფერენციამდე

# როგორ ვიზარდეთ

● თბილისის მშრომელებმა, ისევე როგორც ყველა საბჭოთა ადამიანმა, მაღალი შრომითი და პოლიტიკური აღმავლობის ვითარებაში დაიწყეს 1979 წელი — მეათე ხუთწლედის მეორე წელი. საქართველოს დედაქალაქის საწარმოებსა და მშენებლობებზე, ყველა შრომით კოლექტივში სულ უფრო ფართოდ იშლება სოციალისტური შეჯიბრება ხუთწლედის დავალებათა ვადამდე შესრულებისათვის.

მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადაიდგა წინ პროდუქციის ხარისხის ამაღლებისათვის, ხარისხის მართვის კომპლექსური სისტემის დანერგვისათვის ბრძოლაში, შესრულებულია პროდუქციის თვითღირებულების შემცირების, მასალების, ნედლეულის, საწვავის, ელექტროენერგიის დაზოგვისათვის ნაკისრი ვალდებულებანი. უზრუნველყოფილია წარმოების ტექნიკური დონისა და კულტურის შემდგომი ამაღლება.

## 3.

1976 წლის 24 ივნისს სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიურომ მიიღო დადგენილება საკითხზე — „თუ როგორ ასრულებს საქართველოს პარტიული ორგანიზაცია სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებას პარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის ორგანიზატორული და პოლიტიკური მუშაობის შესახებ“. ეს ისტორიული გადაწყვეტილება არის სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს 1972 წლის თებერვლისა და პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1974 წლის 14 იანვრის დადგენილების ლოგიკური გაგრძელება.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის ეს მესამე დადგენილება, რომელიც ასევე მიღებული იქნა ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის ინიციატივით, თავისი ხასიათითა და შინაარსით არსებითად განსხვავდებოდა 1972 წლის თებერვლის დადგენილებისაგან. თუ ცენტრალური კომიტეტის თებერვლის დადგენილებაში ძირითადი ყურადღება გადატანილი იყო შეცდომებზე და ნაკლოვანებებზე, პოლიტიკურ და ეკონომიკურ ჩავარდნებზე, და დასახული იყო მდგომარეობის გამოსწორების გზები, 1976 წლის ივნისის დადგენილებაში საქართველოს კომპარტიის მოღვაწეობა სრულიად სხვა ასპექტშია განხილული. ამ ახალ დოკუმენტში შეჯამებული იყო ლენინური პარტიის მებრძოლი რაზმის — საქართველოს კომპარტიის ხელმძღვანელობით რესპუბლიკის მუშათა კლასის, კოლმეურნე გლეხობისა და ინტელიგენციის მიერ პარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის ორგანიზატორული და პოლიტიკური მუშაობის შესახებ სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1972 წლის 22 თებერვლის დადგენილების განხორციელებისათვის გაწეული მუშაობის შედეგები.

დადგენილების პირველ სტრიქონებშივე ხაზგასმულია, რომ საქართველოს კომუნისტები, რესპუბლიკის მშრომელები მიდიან ცხოვრების ყველა სფეროში სწორ, პარტიის მიერ განსაზღვრული გზით.

ორნახევარმა წელმა განვლო ამ ისტორიული დადგენილების მიღებიდან. მაგრამ მას დღესაც აქვს შენარჩუნებული თავისი პირვანდელი ძალა და სახელმძღვანელო მნიშვნელობა. რესპუბლიკის პარტიული ორგანიზაცია, რესპუბლიკის მშრომელები კვლავ პირვანდელი ძალით იბრძვიან პარტიის ცენტრალური კომიტეტის აღნიშნულ დადგენილებაში დასახული ამოცანების განხორციელებისათვის.

როგორ შეხვდნენ და როგორ შეაფასეს მაშინ ეს ისტორიული პარტიული დოკუმენტი ბურჟუაზიულმა იდეოლოგებმა, რეაქციულმა ბურჟუაზიულმა პრესამ? ცხადია, მათ ამჯერადაც არ უღალატნიათ ტრადიციისათვის და მალე დაიწყეს სიყალბეებისა და მონაჭორების შეთითხვნა ამ დოკუმენტის გარშემო. ბურჟუაზიული გაზეთებიდან განსაკუთრებული აქტივობა და ოპერატიულობა გამოიჩინა „ინტერნეშნლ გერალდ ტრიბუნმა“. ეს გაზეთი პარტიის ცენტრალური კომიტეტის აღნიშნული დადგენილების გამოქვეყნების მეხუთე დღეს 29 ივნისს ბეჭდავს, ვრცელ წერილს ბინძური სათაურით — „კრემლის მიზანი — დასძლიოს საქართველოს იდეოლოგიური გადახვევა“. ეს წერილი ასე იწყებოდა: „გუშინ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელებმა გამოაქვეყნეს ბრძანება საქართველოს რესპუბლიკაში იდეოლოგიური გადახვევის, კორუპციისა და ნაციონალიზმის წინააღმდეგ გადამწყვეტი კამპანიის გაჩაღების შესახებ“.

ჩვენ არ ვიცით ამ ბინძური სტრიქონების ავტორს რით გადაუხადეს გასამრჯელო დოლარებით, სტერლინგებით, მარკებით თუ ფრანკებით, მაგრამ ერთი კი ცხადია, გასამრჯელო საკმაოდ დიდი იქნებოდა.

ქართველი ხალხი ყოველთვის იყო და მუდამ იქნება პარტიის ლენინური ეროვნული პოლიტიკის პოზიციებიდან ყოველგვარი ნაციონალიზმის წინააღმდეგ ბრძოლის ავანგარდში „საკუთარი“ იქნება იგი, თუ „სხვისი“.

ასე, რომ, საერთო არაფერია ჩვენს სინამდვილესა და იმას შორის, რაზედაც ოცნებობენ, რაც ეჩვენებათ და რაც სურთ არსებობდეს ბურჟუაზიულ იდეოლოგებს.

საქართველოს პარტიული ორგანიზაციების მუშაობისა და რესპუბლიკის ეკონომიკური განვითარების საკითხებზე, სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და საბჭოთა მთავრობის მიერ უკანასკნელ წლებში მიღებულ დადგენილებებთან უშუალო კავშირშია სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრკ მინისტრთა საბჭოს 1978 წლის ივნისის დადგენილება „აფხაზეთის ასსრ ეკონომიკისა და კულტურის შემდგომი განვითარების ღონისძიებათა შესახებ“. ეს დადგენილება შეიცავს აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ეკონომიკის, მეცნიერებისა და კულტურის შემდგომი განვითარების, საზოგადოებრივი წარმოების ეფექტიანობის ამაღლების, ადგილობრივი კადრების მომზადების სრულყოფის, მოსახლეობის მატერიალური და სულიერი მოთხოვნილებათა უკეთ დაკმაყოფილების ღონისძიებებს.

სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და საბჭოთა მთავრობის დადგენილების მნიშვნელობა მარტო აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ეკონომიკური და სოციალური განვითარების ღონისძიებების ფართო პროგრამის დასახვით როდი ამოიწურება.

ეს დადგენილებები საბრალმდებლო აქტია იმათ მიმართ, ვინც ოდნავ მაინც ცდილა, ან კიდევ შეეცდება მომავალში ქართველ და აფხაზ ხალხის ძმური ურთიერთობისათვის რაიმე ჩრდილის მიყენებას.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის ხელმძღვანელობა და მზრუნველობა საქართველოს კომპარტიისადმი, მათი დაინტერესება რესპუბლიკის ბედით მხოლოდ აღნიშნული დოკუმენტებით როდი ამოიწურება. საქართველოს კომპარტიისათვის, მთლიანად რესპუბლიკის წარმატებისათვის ფასდაუდებელი მნიშვნელობა ჰქონდა და აქვს იმ მუდმივ ყურადღებას და მზრუნველობას, რომელსაც ჩვენი რესპუბლიკისადმი იჩენენ პარტიისა და სახელმწიფოს გამოჩენილი მოღვაწეები. განსაკუთრებით კი სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი ამხანაგი ლ. ი. ბრეჟნევი.

რესპუბლიკის პრობლემებისადმი სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და საბჭოთა მთავრობის დამოკიდებულება, ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის, აგრეთვე პარტიისა და სახელმწიფოს სხვა გამოჩენილ მოღვაწეთა მზრუნველობა და დახმარება, როგორც ეს ითქვა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის 1974 წლის მაისის პლენუმზე, მოგვაგონებს ლენინის ზრუნვას საქართველოს რესპუბლიკისათვის საბჭოთა ხელისუფლების პირველ წლებში, ლენინის სიტყვებს, წერილებს, ბარათებს კავკასიისა და საქართველოს კომუნისტებისადმი, ლენინის ზრუნვას საქართველოში ეროვნული საკითხის სწორი, მარქსისტული გადაწყვეტისათვის.

პარტიისა და მთავრობის ღონისძიებებისათვის კომუნისტებისა და ყველა მშრომელის ერთსულოვანი მხარდაჭერის შედეგად, რესპუბლიკის ცხოვრების თითქმის უკლებლივ ყველა სფეროში მოხდა ძირეული ცვლილებები, უდიდესი გარდატეხა. ბოლო მოეღო პოლიტიკურ ჩავარდნებს, აღდგენილ იქნა კადრების შერჩევის, აღზრდისა და განაწილების ლენინური პრინციპი, მოქმედებაში შევიდა კრიტიკისა და თვითკრიტიკის ნაცადი იარაღი, განმტკიცდა და სისტემატურად მტკიცდება შრომის დისციპლინა, შეიქმნა და კიდევ უფრო მტკიცდება ერთსულოვნების ატმოსფერო რესპუბლიკაში. გარდაიქმნა იდეოლოგიური მუშაობა, იგი მთელი თავისი არსენალით შეუფერხებლად ემსახურება რესპუბლიკის წინაშე მდგომ ამოცანების წარმატებით გადაჭრის საქმეს.

ერთი სიტყვით, საქართველოს კომპარტიისადმი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის, პოლიტბიუროს, პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის მზრუნველმა ხელმძღვანელობამ და დახმარებამ, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და პარტიული ორგანიზაციების მიერ გაწეულმა კოლოსალურმა მუშაობამ გააკეთა დიდი, ისტორიული საქმე — საქართველოს კომპარტია, მთლიანად რესპუბლიკა კვლავ ჩადგა მოწინავეთა რიგებში.

დღეს პარტიის თბილისის საქალაქო ორგანიზაციის XXXVII კონფერენციაზე ამაყად მოვლენ საქართველოს კომპარტიის მოწინავე რაზმის — თბილისელი კომუნისტების წარგზავნილები, რადგან ჩვენი რესპუბლიკის მშრომელთა მიერ მიღწეულ ესოდენ დიდ წარმატებებში თვალსაჩინოა მათი წვლილი.

ახალი, დიდი შრომითი აღმავლობა და პათოსი იგრძნობა ჩვენი რესპუბლიკის მშრომელთა საქმიანობაში. და ისინი მზად არიან განუხრელად შეასრულონ ცენტრალური კომიტეტის ნოემბრის პლენუმისა და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მეცხრე სესიის გადაწყვეტილებები, ამ პლენუმზე ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის [illegible]

[illegible]

# საერთაშორისო ცხოვრება

## მეგობრობა, თანამშრომლობა

სოფია 18 იანვარი. (საქინფორმი). ბულგარეთ-საბჭოთა კავშირის მეგობრობის საერთო-სახალხო კომიტეტმა და საზღვარგარეთის ქვეყნებთან მეგობრობისა და კულტურული ურთიერთობის საბჭოთა საზოგადოებათა კავშირმა აქ ხელი მოაწერეს 1979 წლის თანამშრომლობის გეგმას. გეგმა ითვალისწინებს, კერძოდ, საბჭოთა კავშირში ბულგარეთის სოციალისტური რევოლუციის 35-ე წლისთავთან დაკავშირებით საბჭოთა კავშირ-ბულგარეთის მეგობრობის ერთთვიურის მოწყობას. ბულგარეთში მოეწყობა მასობრივი ღონისძიებანი, რომლებიც დიდი ოქტომბრის 62-ე წლისთავს მიეძღვნება.

## საპროტესტო დემონსტრაციები ჩინეთში

### იბრძვიან დაბალი ხელფასისა და შრომის მძიმე პირობების წინააღმდეგ

ლონდონი, 16 იანვარი. (საქინფორმი). როგორც რეიტერის სააგენტოს პეკინელი კორესპონდენტი იუწყება, 14 და 15 იანვარს პეკინში მიმდინარეობდა მშრომელთა დემონსტრაციები. ისინი დედაქალაქში ჩამოვიდნენ ქვეყნის სხვადასხვა რაიონიდან, რომ საჩივარი შეეტანათ უმაღლეს პარტიულ, ადმინისტრაციულ და სამხედრო ინსტანციებში. 300 კაცმა, რომლებიც პროტესტს აცხადებდნენ დევნისა და შიმშილის წინააღმდეგ, და მოითხოვდნენ ადამიანის ელემენტარული უფლებების განხორციელებას, ჩაიარა, პეკინის ცენტრალურ ქუჩებსა და ტიანანმენის მოედანზე. ჩინეთის ხელმძღვანელობის რეზიდენციასთან — ჯუნნანჰაისთან ისინი შეაჩერეს სამხედრო მოსამსახურეებმა, რომლებიც შეეცადნენ გაერეკათ დემონსტრანტები.

მშრომელთა გამოსვლები, თუ ყოველივე ამის მიხედვით ვიმსჯელებთ, შეეხო ქვეყნის ბევრ რაიონს. როგორც ფრანს პრესის სააგენტოს პეკინელი კორესპონდენტი იუწყება, ამას წინათ უაღრესად დაბალი ხელფასისა და შრომის მძიმე პირობების წინააღმდეგ პროტესტის ნიშნად ქუჩაში გამოვიდნენ შანხაის აბრეშუმსახვევი ფაბრიკის მუშები. როგორც დემონსტრაციის მონაწილეებმა განაცხადეს, მათი ხელფასი იმდენად მცირეა, რომ ისინი „სანახევროდ“ შიმშილობენ“. დემონსტრაციის გარეკვისას პოლიციამ ცეცხლი დაუშინა და დაჭრა ქალი.

ჩრდილო-დასავლეთის შენსის პროვინციის ცენტრში — ქალაქ სიანში 30 ახალგაზრდამ, რომლებიც სოფლებში გაგზავნეს „კულტურული რევოლუციის“ დროს, იანვრის დამდეგს შიმშილობა გამოაცხადეს და მოითხოვეს ცხოვრება და მუშაობა იქ, სადაც ისინი დაიბადნენ და გაიზარდნენ.

როგორც „ჟენმინ ჟიბაო“ წინა თვეში იუწყებოდა, ჩინეთის ხელმძღვანელობამ მიიღო გადაწყვეტილება, რომელიც ითვალისწინებს სოფლად ქალაქის სკოლების კურსდამთავრებულთა ფაქტიური გადასახლების პრაქტიკის განგრძობას, რაც მაო ძე დუნმა შემოიღო „კულტურული რევოლუციის“ წლებში.

პეკინის ხელმძღვანელთა არაერთგზის დაპირების მიუხედავად, რომ გაითვალისწინებდნენ ხალხის ცხოვრების გაუმჯობესების მოთხოვნებს, ჩინელ მშრომელთა მდგომარეობა კვლავ მძიმეა, რაც დიდ უკმაყოფილებას იწვევს.

## ეროვნული ინტერესების საზიანოდ

ათენი, 17 იანვარი. (საქინფორმი). პარლამენტში გამოსულმა ოპოზიციის წარმომადგენლებმა მკაცრად გააკრიტიკეს საბერძნეთის ახლანდელი მთავრობის საგარეო პოლიტიკური კურსი. სრულიად საბერძნეთის სოციალისტური მოძრაობის პარტიის თავმჯდომარემ ანდრეას პაპანდრეუმ განაცხადა, რომ ამჟამად „საერთო ბაზარი“ განსაკუთრებით მჭიდროდ არის დაკავშირებული ნატოსთან და ემსახურება მის სამხედრო-პოლიტიკურ ინტერესებს. „დასავლეთ ევროპისა და ევროპის ეკონომიკური გაერთიანების ეკონომიკის წამყვან დარგებს აკონტროლებენ მრავალეროვნული კომპანიები, — თქვა მან. — საბერძნეთს, ამ პატარა ქვეყანას, არ შეუძლია რაიმე გადამწყვეტი გავლენა მოახდინოს ევროპის ეკონომიკურ გაერთიანებაში მიმდინარე პროცესებზე და მისი ეკონომიკის მომავალს განსაზღვრავენ დასავლეთის მონოპოლისტური ცენტრები“.

მთავრობის გეგმები „საერთო ბაზარში“ შესვლის შესახებ არანაირად არ ეთანხმება ეროვნული დამოუკიდებლობის ცნებას, ხაზგასმით აღნიშნა ა. პაპანდრეუმ. მან გაილაშქრა აგრეთვე იმის წინააღმდეგ, რომ საბერძნეთმა მონაწილეობა მიიღოს ნატოს სამხედრო ორგანიზაციაში და საბერძნეთის ტერიტორიაზე განლაგებული იყოს ამერიკული ბაზები.

## 100 მილიარდი — საგარეო ვალი

კარაკასი. 18 იანვარი. (საქინფორმი). 100 მილიარდზე მეტი დოლარი — ასეთია ლათინური ამერიკის საგარეო ვალი 1978 წლის მიწურულის მონაცემებით. ამის შესახებ აქ იტყობინება გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ლათინური ამერიკის ეკონომიკური კომისიის აღმასრულებელი მდივანი ენრიკე იგლესიასი.

მან აღნიშნა, რომ განვითარებული მრეწველობის მქონე დასავლეთის ქვეყნების პროტექციონიზმის პოლიტიკა გამანადგურებლად მოქმედებს ლათინური ამერიკის ქვეყნების ფინანსურ მდგომარეობაზე.

ლათინური ამერიკის ეკონომიკური კომისიის აღმასრულებელმა მდივანმა მხარი დაუჭირა ახალი საერთაშორისო ეკონომიკური წესის შემოღებას და განვითარებული და განვითარებადი ქვეყნების ურთიერთობის განვითარებას თანასწორუფლებიან და ურთიერთხელსაყრელ საფუძველზე.

## ისრაელის საიდუმლო გეგმა

ამანი. 18 იანვარი. (საქინფორმი). ისრაელის პრესაში აქა იქ გაჩნდა ცნობები თელ-ავივის ახალი საიდუმლო გეგმის შესახებ, რომელიც ოკუპირებულ ტერიტორიებზე ისრაელის კიდევ 117 დასახლების მშენებლობას ითვალისწინებს. ტერიტორიული ექსპანსიის მიზნებისათვის, წერს იორდანიის გაზეთი „ადდუსტური“, დაგეგმილია 54 მილიარდი ისრაული გირვანქა სტერლინგის გამოყოფა. უახლოეს წლებში დასახლებათა დიდი ნაწილი აშენდება მდინარე იორდანის დასავლეთ ნაპირზე, დანარჩენები — გოლანის მაღლობზე, სადაც დაგეგმილია აგრეთვე სამრეწველო ობიექტების მშენებლობა. ისრაელთა რიცხვმა გოლანის მაღლობზე 40 ათასს უნდა გადააჭარბოს.

საქინფორმი

## უცხოეთი მზრიდან

18 იანვარი

### გვირგვინებით შეამკეს

ვარშავა. ჰიტლერელთა ოკუპაციისაგან პოლონეთის დედაქალაქის განთავისუფლების 34-ე წლისთავთან დაკავშირებით აქ გვირგვინებით შეამკეს უცნობი ჯარისკაცის საფლავი, საბჭოთა მეომრების სასაფლაო — მავზოლეუმი და ვარშავის გმირთა ძეგლი — ვარშავული ნიკე. თაიგულები და ყვავილები მიიტანეს პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის ეროვნული თავდაცვის სამინისტროს, ხალხის ერთიანობის ფრონტის დედაქალაქის კომიტეტისა და ვარშავის სხვა საზოგადოებრივ ორგანიზაციათა სახელით.

ყვავილებით შეამკეს აგრეთვე სხვა ძეგლები და იმ საბჭოთა და პოლონელი მეომრების საფლავები, ვინც სახალხო პოლონეთის ნათელი მომავლისათვის ბრძოლაში დაიღუპნენ.

### ცვლილებანი ბოლივიის მთავრობაში

ლა-პასი. ბოლივიის პრეზიდენტმა გენერალმა დავიდ პადილია არანსიბიან მინისტრთა ახალ კაბინეტს ფიცი დაადებინა გადამდგარი სამხედრო მთავრობის ნაცვლად, რომელიც მან გასული წლის 24 ნოემბრის სახელმწიფო გადატრიალების შემდეგ შექმნა.

მის შემადგენლობაში შეიცვალნენ სოფლის მეურნეობის და გლეხობის საქმეთა მინისტრი და შრომის მინისტრი, რომლებიც პროგრესული ტენდენციებით გამოირჩეოდნენ.

### უჩვეულოდ დიდი თოვლი

ვაშინგტონი. ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტმა ჯ. კარტერმა უბედურების რაიონად გამოაცხადა ნამქერისაგან დაზარალებული ილინოისის შტატი. უჩვეულოდ დიდმა თოვლმა დაარღვია მოძრაობა შტატის უმნიშვნელოვანეს გზებზე, ნათქვამია თეთრი სახლის განცხადებაში.

საერთაშორისო ცხოვრება

ხალხური სიბრძნე აღზრდაზე და თვითაღზრდაზე

გონიერსა მწვრთნელი უყვარს

# ქონება ილევა, კაცობა რჩება

ცხოვრება ფიზიკურად და სულიერად ძლიერ კადრებს საჭიროებს. არიან კიდეც ასეთი ადამიანები. მაგრამ მათ გვერდით ისეთებიც გვხვდებიან, რომელთა ქცევას ეგოიზმი, სუბიექტივიზმი, შური და მსგავსი სამარცხვინო განწყობილებები განაპირობებს. ეს თვისებები, დიდი ხანია დაგმო მშრომელმა ხალხმა. „ესე არ იცი ჯაბან კაცს გულს უკლავს სხვის მამაცობა, თვით კარგ კაცობა არ ძალუძს, სხვისი შურს კაიკაცობა“, შურიან კაცზეა ნათქვამი. სიავით, მექრთამეობითა და უკაცურობით შეძენილი სიმდიდრის მავნებლობაც არ გამორჩენია ხალხს მხედველობიდან — და არა ერთ გამოთქმაში გაუკიცხავს იგი.

ხალხური ზნეობის ამოსავალი კაცურკაცობაა. აი, ილია ჭავჭავაძის „კაცია ადამიანი!?“, ილია ფიქრობს — ყველა ადამიანი კაცი არ არის, ვერ უტოლდება კაცურკაცობასო, და საბუთად ლუარსაბ თათქარიძის უგვანო, ნახევრად ცხოველური თვისებები მოაქვს. კარგად ჩანს, რომ მწერალს ლოგიკური მახვილი ადამიანზე კი არა, კაცურკაცობაზე გადააქვს, რომელიც ადამიანობის უმაღლესი ეთიკურ-მორალური ნიშანი, სანიმუშო თვისებათა ერთობლიობაა. ეს ერთნაირად გულისხმობს კაცსაც და ქალსაც. კარგად თქვა ი. ჭავჭავაძემ — ქართულ ენაში „დედაცა და მამაც“ კაცად იწოდებაო. ასე ფართოა ამ ცნების მნიშვნელობა. კაცურკაცობა, ხალხის აზრით, დღეგრძელია, სიმდიდრე კი — უდღეური, ხანმოკლე. — „ქონება ილევა, კაცობა რჩება“, ჩვენ სულით მდიდარი ადამიანი გვინდა. ეს კი ორი გზით მიიღწევა — აღზრდითა და თვითაღზრდით. თვითაღზრდა ჩვენი სააღმზრდელო სისტემის კომპონენტია. ბავშვი რომ დაიბადება, ის სხვა თვისებებთან ერთად ეთიკურ-ზნეობრივი თვისებებითაც უნდა შევაიარაღოთ, კეთილმოქმედება, კერძოდ, შრომა ვასწავლოთ. ასეთი მოქმედება კაცურკაცობის საგზურია. საწინააღმდეგო თვისებებით აღზრდა კი პიროვნების დამღუპველია და მას რამდენიმე საფუძველი შეიძლება ჰქონდეს.

ზოგიერთი უზნეო ადამიანი უსინდისოდ დაგროვილი თავისი ქონების ნაწილს შვილების ფუფუნებით აღზრდას ახმარს, ნაწილს კი თავისთვისვე ინახავს. მემკვიდრეობად დატოვებული ასეთი ათასები მემკვიდრის პარაზიტული ცხოვრების წინაპირობაა.

აღზრდის ერთ-ერთი მძლავრი საშუალება მოვალეობისა და მისი შესრულებისათვის პასუხისმგებლობის შეგნების ჩანერგვაა. მოვალეობა არა მხოლოდ თავისი თავის, არამედ ოჯახის, მეგობრის, საზოგადოების, მთელი ქვეყნის წინაშე. ამ შეგნების გამომუშავებას კი ხელს შეუწყობს: აღსაზრდელის კონკრეტული ქცევის შედეგების შეფასება, მასზე შექმნილი საზოგადოებრივი აზრის შესახებ მითითება, ანალოგიურ ქცევათა საძრახის შედეგებზე მისი ყურადღების გამახვილება, იმის ჩვენებაც, თუ რა შედეგები მოუტანა პირადად აღსაზრდელს და მის ოჯახს მისმა ცუდმა ქცევებმა.

ჩვენი მიზანი შეგნებული და პერსპექტიული ადამიანის ფორმირებაა. ამის ერთ-ერთი აუცილებელი პირობა კი შრომაა. თანაც შრომა არა მხოლოდ გარეგანი ზემოქმედებით, არამედ თვითშეგნებასა და ინიციატივაზე დამყარებული. სწორედ თვითმოქმედება, სწორედ დაუცხრომელი ძიება ქმნის ღირებულებას. შრომა მორალურ ძალას და დამაჯერებლობას მატებს ადამიანს. შრომაში ცხოვრების ინტერესიც იბადება. ინტერესი ცხოვრების კონკრეტულ და გადაუდებელ მოთხოვნათა შედეგია. შრომა წამყვანია თვითაღზრდაში. თვითაღზრდის მეორე წარმმართველი ძალა კოლექტივის, ხალხის ინტერესებისა და ნება-სურვილის გათვალისწინებაა. ვიზრუნოთ აღუზრდელი ადამიანის ეთიკურ-მორალური ამაღლებისათვის, თორემ საზოგადოების, სოფლის წყრომაა „თემ-სოფლის მოძულებულნი თვით სიკვდილს დაიწყებიაო“.

სუბიექტივიზმი საზოგადოებასთან ადამიანის შეთანხმებული ცხოვრების მტერია. ამიტომ ასეთი ადამიანი უნდა გასცდეს როგორც საკუთარ, ისე ვიწრო ნათესაურ და „ძმა-ბიჭობის“ მავნებელ საზღვრებს.

ხალხური სიბრძნე ადამიანის ქცევების ობიექტურ შეფასებას მოითხოვს — „ვინცა რომ ღირსი არ არის, ვერ ვიტყვი იმის ქებასა“. საზოგადოებრივი ცხოვრების წესის იმ დამრღვევებზე კი, რომელზეც რჩევა-დარიგება არ მოქმედებს, ხალხი ამბობს, „რაც გინდა ელაპარაკე, თუ კი კაცს არა სცხვენია“. სირცხვილი ეთიკურ შეგნებაზე დაფუძნებული წრფელი განცდაა, დიდი მაორგანიზებელი ძალა და ადამიანის გამოსწორების ფსიქოლოგიური საფუძველია. ამიტომ ადამიანში მის ჩანერგვას დიდი როლი უნდა მიეკუთვნოს.

ჯერ კიდევ ი. ა. კომენსკიმ აღნიშნა: „სკოლებმა თავისი აღსაზრდელი უნდა გაწაფონ აგრეთვე ადამიანებთან ურთიერთობისათვისო“.

ხელახალი აღზრდა საზოგადოებრივი სტიმულების საფუძველზე თვითაღზრდის გზითაც უნდა წარიმართოს. თვითაღზრდა, თვითსწავლა ყოველთვის მნიშვნელოვან როლს ასრულებდა ადამიანის ჩამოყალიბებაში. მაგრამ მას მიმართულების მიცემა უნდა. 1919 წელს სვერდლოვის უნივერსიტეტში წაკითხულ ლექციაში ლენინმა მსმენელებს მიმართა: „მხოლოდ მაშინ, თუ თქვენ ისწავლით დამოუკიდებლად გაერკვეთ ამ (სახელმწიფოს ა. ხ.) საკითხში — მხოლოდ მაშინ შეგიძლიათ ჩათვალოთ, რომ საკმაოდ მტკიცე ხართ თქვენს რწმენაში და შეგიძლიათ საკმაო წარმატებით დაიცვათ იგი ყველას წინაშე და ყოველთვის“. ლენინმა საკითხის არსი, შინაარსი გააცნო, საერთო მიმართულება მისცა მსმენელებს და ამის საფუძველზე — მოუწოდა დამოუკიდებელი სწავლებისაკენ.

ეგოიზმის, სუბიექტივიზმის, შურიანობის, ასე გასინჯეთ, მომხვეჭელობისაც კი და მსგავს თვისებათა აღმოფხვრა, პირველ რიგში, პიროვნების თვითშეგნების საფუძველზეა შესაძლებელი: ადამიანმა შინაგანი მისწრაფება უნდა გამოიმუშაოს. „სჯობს გამორჩევა, აზრობა საქმისა დასაგვანისა“, — გვასწავლის ბრძენი რუსთველი.

**ანტ. ხინთიბიძე,**
პედაგოგიკის მეცნიერებათა დოქტორი.



ნ. მესხის ფოტოეტიუდი.

# ბავშვი პალტოს გვიწუნებს

**ბასული წლის ნოემბერში სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ მიიღეს დადგენილება „საბავშვო საქონლის წარმოების გადიდების, მისი ხარისხის ამაღლებისა და ამ საქონლის ვაჭრობის გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ“.**

**მოგითხრობთ თუ როგორ კმაყოფილდება მოთხოვნა საბავშვო ასორტიმენტის საქონელზე.**

— **ჩვენ** შევამჩნიეთ, — განმარტავს თბილისის ცენტრალური უნივერმაღის დირექტორის მოადგილე ვ. ნადარაია, — რომ ბავშვის პალტოებს ნაკლებად ყიდულობენ, ქურთუკებს მოითხოვენ. იძულებული გავხდით სასწრაფოდ შეგვესწორებინა მრეწველობისადმი ჩვენი შეკვეთა.

— პალტოებს რაღა ვუყოთ? იქნებ ისინი სულ აღარ არის საჭირო? მყიდველთა დაუსწრებელი კონფერენცია მოვაწყეთ და გამოვარკვიეთ, რომ პალტოებიც სჭირდებათ, ოღონდ თანამედროვე ფასონისა, ლამაზი, ფერადი ქსოვილებისაგან შეკერილი.

დაუკმაყოფილებელი მოთხოვნის ფურცლებში წავიკითხეთ: „ვერ მოვახერხეთ კოსტუმი შეგვეძინა ბიჭუნასათვის“. ლაპარაკი იყო თელავის სამკერვალო ფაბრიკის პროდუქციაზე. სექციაში უამრავი კოსტუმია. მაგრამ მათი ფასონი მოძველდა, თანაც ყველა ერთი ზომისაა.

— ვერა და ვერ მივაღწიეთ, — წუხს ვ. ნადარაია, — რომ სამკერვალო საწარმოები ბავშვის ტანსაცმლის ნახევარფაბრიკატებს უშვებდნენ, ჩვენ კი, მაღაზიის მუშაკები მოვაგვარებდით, რომ ეს ნაწარმი ბავშვების ტანზე მოგვერგო, როგორც ეს კეთდება მოსკოვში, ლენინგრადსა და ქვეყნის ბევრ სხვა ქალაქში.

საბავშვო ასორტიმენტის ცალკეულ ნაკეთობათა წარმოების დავალებებს ადგენენ რესპუბლიკის მსუბუქი და ადგილობრივი მრეწველობის სამინისტროები. ამ ნაწარმის ნუსხა მეტად შეზღუდულია.

საქინფორმის კორესპონდენტმა სამინისტროთა ხელმძღვანელებს სთხოვა თავიანთი აზრი გამოეთქვათ აღნიშნულ საკითხებზე.

სწორია, რომ ჩვენი პროდუქციის მისამართით ჯერჯერობით ბევრი საყვედური ისმის მყიდველთა მხრივ. — თქვა რესპუბლიკის ადგილობრივი მრეწველობის მინისტრის პირველმა მოადგილემ ვ. გრიგალაშვილმა. — ახლა ჩვენი მთავარი საზრუნავი ის არის, რომ მდგომარეობა სასწრაფოდ გამოვასწოროთ.

ბოგდანოვკის სამკერვალო ფაბრიკაში საწარმოო ფართობებისა და მოწყობილობების გაფართოების შრომითი რესურსების უფრო რაციონალური გამოყენების შედეგად 16 პროცენტით გაიზრდება ახალშობილთა კომპლექტების გამოშვება, რომლებიც დიდი მოთხოვნით სარგებლობს. გაერთიანება „სიხარული“ პროდუქციის ნახევარს სახელმწიფო ხარისხის ნიშნით გამოუშვებს.

— მიმდინარე წელს, — თქვა რესპუბლიკის მსუბუქი მრეწველობის მინისტრის პირველმა მოადგილემ ე. დუდჩენკომ, — პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებისა და მისი შემდგომი განახლების მიზნით თბილისში მოეწყო დათვალიერება-კონკურსი — „ყოველივე საუკეთესო ბავშვებს!“ მყიდველთა მოთხოვნის უკეთ დაკმაყოფილების მიზნით, მაგალითად, ტყავის ფეხსაცმლის წარმოების დარგში ხუთწლედის დამლევამდე შეიქმნება სპეციალიზებული საამქროები, რომლებიც დაამზადებენ სასკოლო და საბავშვო ფეხსაცმელს.

...უნდა ვიფიქროთ, რომ სამინისტროს მიერ გათვალისწინებული ღონისძიებანი მართლა ეფექტიანი აღმოჩნდება.



# ჯანმრთელი შვილი ოჯახის სიხარულია

## სავალდებულოა გავხადოთ ყველა ჩვილის ორთოპედიული გასინჯვა

**ექიმი გვირჩევს**

**ბარძაყის** თანდაყოლილი ამოვარდნილობა ორთოპედიულ დეფორმაციებს შორის ყველაზე გავრცელებული, მძიმე დაავადებაა. აღსანიშნავია, რომ ეს დაავადება თითქმის არ გვხვდება აღმოსავლეთის იმ ქვეყნებში, სადაც ჩვილ ბავშვებს თავისუფლად ზრდიან, არ უკრავენ ხელ-ფეხს არტახებით და ხელში უჭირავთ განზიდული ქვედა კიდურებით: ვიეტნამში, იაპონიაში, აფრიკის ქვეყნებში, ინდოეთში. ბარძაყის თანდაყოლილი ამოვარდნილობა გავრცელებულია ჩრდილოეთ იტალიაში, სამხრეთ საფრანგეთში, ჩეხოსლოვაკიაში, პოლონეთის მთის რაიონებში, გერმანიაში (დრეზდენის ოლქი). ამჟამად ევროპაშიც შემოიღეს ბავშვის ტარების აღმოსავლური წესი და ჩვილ ბავშვებს დედა, ატარებს განზიდული ქვედა კიდურებით.

საქართველო მდებარეობს ისეთ გეოგრაფიულ ზონაში, სადაც ეს დაავადება ხშირია, მაგრამ ჩვენშიც არის რაიონები (ხევსურეთი, მარნეული, გარდაბანი, ბოლნისი, დმანისი, წალკა) სადაც ეს დაავადება შედარებით იშვიათია. ყურადსაღებია, რომ ამ რაიონებში მცხოვრებთა დიდი უმრავლესობა ბავშვებს ზრდიან ხელ-ფეხის შეუბოჭავად, ე. ი. უარტახებოდ.

ამ დაავადების გამომწვევ მრავალ მავნე ფაქტორთაგან, ერთ-ერთი ხელშემწყობია ჩვილი ბავშვის ქვედა კიდურების მჭიდროდ შეკვრა და შორისში შიბაქის ჩადგმა, რომელიც ბერკეტის როლს ასრულებს და ხელს უშლის დისპლაზიური მენჯ-ბარძაყის სახსრის განვითარებას, იწვევს ბარძაყის თავის დისტაზს. ხელფეხშეკრული ბავშვი უმოძრაობის გამო ადვილად ოფლიანდება, უბრტყელდება კეფა და გულმკერდი. ამას ადასტურებს პედიატრიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის მეცნიერ მუშაკთა გამოკვლევები.

ბარძაყის თანდაყოლილი ამოვარდნილობა მეტად მძიმე დაავადებაა და მისი სრული განკურნება შესაძლებელია მხოლოდ მაშინ, თუ მკურნალობა დაწყებულია ბავშვის ცხოვრების პირველ დღეებში. ამიტომ საჭიროა მასობრივი პროფილაქტიკური ღონისძიებები ამ დაავადების ადრიანი გამოვლენისათვის. სამშობიაროში სავალდებულო უნდა გავხადოთ ყველა ახალშობილის ორთოპედიული გასინჯვა. ყველა ახალშობილის გასინჯვა ორთოპედის მიერ ფიზიკურად შეუძლებელია, ამიტომ აუცილებელია გასინჯვის მეთოდიკა აითვისოს ყველა პედიატრმა.

ასევე სავალდებულოა ყველა ბავშვი განმეორებით შემოწმდეს ორი თვის ასაკში საექიმო უბანზე და ბავშვთა პოლიკლინიკებში. მესამედ ბავშვი ისინჯება, როცა სამი-ოთხი თვისა გახდება, ამ დროს აუცილებელია მენჯ-ბარძაყის სახსრების რენტგენის სურათის გადაღება.

ზოგჯერ კლინიკური გასინჯვით დიაგნოზის დასმა ძალზე ძნელია (ე. წ. უსიმპტომო დისპლაზია), თუ რენტგენოლოგიური გამოკვლევა არ გაკეთდა. შესაძლებელია დისპლაზია ამოუცნობი დარჩეს, რის გამოც 25-30 წლის ქალებს ეწყებათ (უფრო ხშირად მშობიარობის შემდეგ) ტკივილი მენჯ-ბარძაყის სახსარში, მჟღავნდება მკურნალობის გარეშე დარჩენილი დისპლაზიური სახსრიდან განვითარებული მძიმე კოქსართროზი, რომელიც ადამიანს აინვალიდებს. თუ ბავშვს დისპლაზიურ სახსართაგან ამოვარდნილობა ფეხის ადგმის შემდეგ ჩამოუყალიბდა, დედაც ადვილად ამჩნევს კოჭლობას, მაგრამ ეს უკვე დაგვიანებულია. ბავშვის ზრდასთან ერთად სახსარში ვითარდება მეორადი ცვლილებები და სრული განკურნება ძნელია. ამიტომ უნდა გვახსოვდეს: რაც უფრო ჩვილია ბავშვი, მით უფრო ადვილია მისი განკურნება იოლი, მარტივი არტაშანებით. ყველა უბნის ექიმი ვალდებულია, არც ერთი ბავშვი არ დატოვოს ორთოპედიული გასინჯვის გარეშე.

ახალგაზრდა დედას უნდა ახსოვდეს, რომ ბავშვის წრთობა იწყება დაბადებიდანვე. ორი კვირის ჩვილი უნდა შევაჩვიოთ ჰაერზე ყოფნას. პირველ დღეებში ბავშვი გარეთ უნდა იყოს 10-15 წუთს, ორი-სამი თვის ბავშვს კი აუცილებელია ჰაერზე ეძინოს 3-4 საათს. ჩვენს რესპუბლიკაში წლის ყოველ დროს უხვად გვაქვს მზე და ვიტამინებით მდიდარი ხილი.

ჩვენში ყველა პირობაა შექმნილი ბავშვის სწორი აღზრდისა და წრთობისათვის. ბაგა-ბაღების ფართო ქსელი დედას ეხმარება შვილის აღზრდაში. ბავშვთა კონსულტაციებსა და პოლიკლინიკებში ახალგაზრდა დედას შეუძლია ბევრი სასარგებლო რჩევა-დარიგება მიიღოს. ბავშვის თავისუფლად აღზრდა ხელ-ფეხის შეუბოჭავად, მისი წრთობა სუფთა ჰაერზე ჯანმრთელობის მთავარი საწინდარია. ჯანმრთელი ბავშვი კი ოჯახის სიხარულია.

**მ. დოლონაძე,**
ტრავმატოლოგიისა და ორთოპედიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ბავშვთა ორთოპედიის განყოფილების ხელმძღვანელი, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი.

**ლ. ქავთარაძე,**
ამავე განყოფილების პედიატრი.

# ახალი შეხვედრის სიხარული.

## „სევილიელი დალაქი“ თბილისის საოპერო თეატრში

„სევილიელი დალაქის“ დადგმისათვის თბილისის ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის თეატრი გულმოდგინედ დიდი ხანია ემზადებოდა. აქაურ სცენაზე არაერთხელ წარმოდგენილმა ამ ოპერამ სერიოზული მოთხოვნილებები წაუყენა კოლექტივს, მოახდინა სხვადასხვა თაობის ვოკალისტების მობილიზაცია, საჭირო გახდა ორკესტრთან და გუნდთან ხანგრძლივი მუშაობა.

ახალი დადგმის მუსიკალური ხელმძღვანელი და დირიჟორია თ. ჯაფარიძე. მან სპექტაკლს შესატყვისი ტემპი და შინაგანი პულსაცია მოუნახა. მისასალმებელია, რომ დირიჟორმა ნაწარმოების მნიშვნელოვანი კუპიურები გახსნა. გაუმართლებლად დავიწყებულმა ეპიზოდებმა ოპერის მუსიკალურ დრამატურგიას ბევრი რამ შემატა: მნიშვნელოვნად გაღრმავდა ბარტოლოს არია მეორე მოქმედებაში და როზინას არია ფინალში. ხოლო საანსამბლო სცენებში განსაკუთრებით გამოვლინდა ის სერიოზული მუშაობა, რომელიც გუნდთან ჩაუტარებიათ დირიჟორსა და ქორმეისტრებს (გ. ბუხრიკიძე, ა. დანელიანი).

უკვე ცნობილ უვერტიურაში, რომელიც დირიჟორისათვის თავისებური განაცხადია, თ. ჯაფარიძემ სპექტაკლს სათანადო განწყობილება შეუქმნა. ეს განწყობილება მსმენელმა მაშინვე აიტაცა და მიიღო.

„სევილიელი დალაქი“ ლამაზი, კეთილი და ხატოვანი სპექტაკლია, გემოვნებითა და გატაცებით დადგმული. აქაც ის ზომიერების გრძნობაა ნაპოვნი, რამაც შინაგანი სითბო და სიმსუბუქე მიანიჭა მთელ წარმოდგენას. რეჟისორიც — თ. აბაშიძე და მხატვარიც — ი. ასკურავა როსინის მუსიკის შინაგანი ბუნებიდან გამოდიან. აშკარად იგრძნობა, რომ სპექტაკლი დადგა რეჟისორმა, რომელიც კარგად ერკვევა მუსიკის სპეციფიკურობაში.

მხატვარ ი. ასკურავას დეკორაციები და განსაკუთრებით კოსტიუმები ორი საწყისის — ლირიკულისა და ბუფონურის დაპირისპირებაში ეხმარებიან მაყურებელს. ამ საწყისების ძირითადი მატარებელნი ოპერაში ხუთი მთავარი პერსონაჟია და მათ შორის ყველაზე ცქლუცი, მომხიბლავი და პოეტურია ახალგაზრდა როზინა. დიდმა ხანმა განვლო მას შემდეგ, რაც ნათელა ტუღუშმი პირველად შეხვდა ამ როლს. ამ ხნის მანძილზე როზინა მისი საყვარელი სახე გახდა. სცენაზე მაღალი კლასის მომღერალი და მსახიობია, რომელსაც გადაულახავს ურთულესი საშემსრულებლო ბარიერები და რომლის ხელოვნებას დღეს ძალა შესწევს ნამდვილი ესთეტიკური სიამოვნება მიანიჭოს მსმენელს.

მისი ღირსეული პარტნიორია ნიკოლოზ ნადიბაიძე — ბარტოლოს ბუფონური როლის შემსრულებელი, სწორედ რომ როლის და არა მხოლოდ ვოკალური პარტიისა. მას თანდაყოლილი კომედიური მსახიობის ნიჭი აქვს. კარგად გრძნობს იმ მოთხოვნილებებს, რომლებსაც დღეს მომღერალს უყენებს თანამედროვე მუსიკალური თეატრი. ნ. ნადიბაიძე აღწევს ვოკალური და სცენური შესრულების სინთეზს.

ახალგაზრდა ა. შომახია დიდი ხანი არ არის, რაც საოპერო მომღერლის ფართო სარბიელზე გამოვიდა. „სევილიელ დალაქში“ მას ფიგაროს ურთულესი პარტია დააკისრეს. მას ლამაზი, ძლიერი ხმა, კარგი ვოკალური მონაცემები აქვს. ამავე დროს სერიოზული მუშაობა ესაჭიროება მეტყველებაზე, ლექსიკაზე და საზოგადოდ შინაგანი აქტიორული კულტურის დახვეწაზე.

დასანანია, რომ ისეთი რანგის მომღერალი, როგორიც თ. მუშკუდიანია, იშვიათად გამოდის სცენაზე, ამან კი თავისი დაღი დააჩნია მის მიერ შესრულებულ დონ-ბაზილიოს როლს. ვფიქრობთ ამ სახეს სცენური თავისუფლება, მასშტაბურობა აკლია. თ. ზაალიშვილი (ალმავივა), კვლავაც ხიბლავს მსმენელს ვოკალური და სცენური კულტურით.

შეხვედრამ საოპერო ხელოვნების ერთ-ერთ შედევრთან, როსინის „სევილიელ დალაქთან“, ახალი სიხარული მოგვიტანა.

**მ. ფიჩხაძე,**
მუსიკისმცოდნე.



სურათზე: როზინა — საქართველოს სსრ სახალხო არტისტი ნ. ტუღუში, ფიგარო — ა. შომახია.
ა. კავკასიძის ფოტო.

საბჭოეთის მერიდიანებზე

# არქტიკული მარშრუტი

ლენინგრადი — ვლადივოსტოკი: 29.400 კილომეტრი;
ლენინგრადი — ვლადივოსტოკი: 23.200 კილომეტრი;
ლენინგრადი — ვლადივოსტოკი: 14.280 კილომეტრი.



**ეს** თავსატეხი არ გეგონოთ, სამივე რიცხვი სწორია. ისინი ჩვენი ქვეყნის დასავლეთისა და აღმოსავლეთის ორ უდიდეს ნავსადგურს შორის არსებული სხვადასხვა საზღვაო გზის სიგრძეს განსაზღვრავენ.

პირველი რიცხვი კეთილი იმედის კონცხის შემოვლით არსებული გზის ტოლია, მეორე — სუეცის არხზე გამავალი გზისა, ხოლო მესამე — ევრაზიის საზღვაო ნაპირის სიგრძე გახლავთ.

კილომეტრებს შორის არსებულ სხვაობას კომენტარი არ სჭირდება, მაგრამ ჩვენი ქვეყნისათვის ჩრდილოეთის საზღვაო გზა მარტოოდენ სიმოკლით როდია მნიშვნელოვანი.

ციმბირისა და შორეული აღმოსავლეთისათვის, რომელთა წიაღისეული სიმდიდრის ათვისება ამჟამად ინტენსიურად მიმდინარეობს, საზღვაო ტრანსპორტი, ფაქტიურად, მასობრივი ტვირთის გადაზიდვის ერთადერთი საშუალებაა.

სწორედ ეს გახლავთ ჩრდილოეთის საზღვაო გზის მაგისტრალის მთავარი დანიშნულება.

ამ მაგისტრალის გაყვანისა და ათვისებისათვის ათასობით ადამიანის მრავალი წლის შრომა და კვლევა გახლავთ საჭირო.

ამიტომ იყო, რომ არქტიკის გავლით აღმოსავლეთისაკენ მიმავალ გზას ბევრი ეძებდა. ასეთი ცდები ჯერ კიდევ დიდი გეოგრაფიული აღმოჩენების დროიდან დაიწყო, როცა ესპანეთის კოლონიურმა სახელმწიფომ იმჟამად მიკვლეული ამერიკისა და სანელებლებით მდიდარი კუნძულებისაკენ გზა გადაუკეტა სხვა სახელმწიფოებს. მაგრამ ყველა ცდა ამაო გამოდგა.

ამ ერთი საუკუნის წინათ — 1878 წელს ჩრდილოეთის საზღვაო გზით გაეშურა და მთელი მარშრუტი პირველად გაიარა შვედი მკვლევარის ნორდენშელდის ექსპედიციამ ხომალდ „ვეგათი“. ამ ექსპედიციის ინიციატორები და ორგანიზატორები იყვნენ რუსები — ციმბირელი ოქროს მწარმოებლები სიდოროვი და სიბირიაკოვი.

მაგრამ ცურვა და კომერციული ექსპლოატაცია ერთმანეთისაგან განსხვავდება (ნორდენშელდმა თავის დროზე აკი აღნიშნა კიდეც მისი შეუძლებლობა).

და აი, პრაქტიკულად მხოლოდ შარშან გაიხსნა პირველად წლიური ნავიგაცია მურმანსკ-დუდინკის მარშრუტით. ეს მოვლენა 70 წლით გვაცილებს იმ დროს, როცა რობერტ პირიმ ჩრდილოეთ პოლუსს მიაღწია, 50 წლით — ნობილეს გაბედულ ექსპედიციას და 40 წლით — ჩკალოვისა და გრომოვის გმირობას, როცა მათ არქტიკის თავზე პირველად გაკვალეს საავიაციო მარშრუტი: სსრკ — პოლუსი — აშშ.

მარტოოდენ შარშან მურმანსკიდან დუდინკამდე და პირიქით, ნორილსკის მშენებლობისათვის 100 ათასზე მეტი ტონა ტვირთი გადაიზიდა, ხოლო ხარასავეის კონცხზე (იამალის ნახევარკუნძული) ამავე რაოდენობის სხვადასხვა მასალა ჩაიტანეს.

ეს გზა კი ვლადივოსტოკამდე არსებული საზღვაო ტრასის კარგა ხელა მონაკვეთია. მაგრამ ჩრდილოეთის ოკეანის ყინულებში გამავალი ყველაზე პირდაპირი გზა ყოველთვის უმოკლესი როდია. და იმის ნაცვლად, რომ აღმოსავლეთით იარონ, გემები ხშირად ჩრდილოეთით მიეშურებიან. ახალ მიწას შემოუვლიან ხოლმე და ისე უახლოვდებიან მატერიკს. საქმე ის არის, რომ ახალ მიწასა და კუნძულ ვაიგაჩს შორის არსებულ სრუტეში ძალზე ხშირად ყინულის ძალზე სქელი საფარია და მისი დაძლევა ჭირს.

დუდინკის ნავსადგური, რომელიც მსოფლიოს ერთ-ერთ უდიდეს მდინარე ენისეიზე მდებარეობს, კარგა მოზრდილად არის შეჭრილი ევრაზიის მატერიკის სიღრმეში, მაგრამ იმის მიუხედავად, რომ აქედან ყინულოვან ოკეანემდე ასობით კილომეტრია, მას მაინც ციმბირის „საზღვაო ჭიშკარს“ უწოდებენ.

დუდინკა დიდი ხანია არსებობს. იგი როგორც გამოსაზამთრებელი პუნქტი, ჯერ კიდევ 1667 წელს შეიქმნა. დუდინკის განვითარებას განსაკუთრებით ხელი შეუწყო ნორილსკის სამთო-მეტალურგიული კომბინატისა და თვით ქალაქ ნორილსკის მშენებლობამ. 69-ე პარალელზე მდებარე ამ 200-ათასიანი ქალაქის აღმოცენება უდუდინკოდ წარმოუდგენელიც კი იყო.

ციმბირის ინტენსიური ათვისების პროგრამა თავისთავად დიდ პერსპექტივებს უქმნის დუდინკასაც. ქალაქი იზრდება და მშენდება, თუმცა ეს მშენებლობა ძალზე ძვირი ჯდება. თითოეული კვადრატული მეტრი საცხოვრებელი ფართის აშენება აქ რამოდენიმე ასეული მანეთი ღირს, ავტოსტრადის თითოეული კილომეტრის გაყვანა — მილიონობით მანეთი. მშენებლობის სიძვირეს კი მისი სირთულე განაპირობებს. მუდმივი გამყინვარება წარმოუდგენელ და გაუთვალისწინებელ სიძნელეებს ქმნის.

პოლარული ღამე ლექსებშია მომხიბლავი, თორემ ცხოვრებაში დამატებით სირთულეს ბადებს. ადამიანები თვეობით ცხოვრობენ და მუშაობენ ხელოვნურ განათებაში. ყინვა, გრიგალი, თოვლის ნამქერი — ეს იმ „უხერხულობათა“ სრული ნუსხა როდია, რომლებსაც ტაიმირზე შეხვდებით.

მაგრამ, იმიერპოლარეთი იმიერპოლარეთია და მას სხვაგვარად ვერც აითვისებ.

გაივლის დრო და ციმბირის საზღვაო ჭიშკრისათვის მადლობას იტყვის შთამომავლობა.

(აას-ის მასალების მიხედვით).

# გამარჯვება გაინაღდეს

**გუშინ** მოსკოვში გაიმართა ევროპის გუნდური პირველობის მორიგი ტურის მატჩი სამეფო თასზე. საბჭოთა ჩოგბურთელების მეტოქეები იყვნენ ნორვეგიელები. თბილისელმა ა. მეტრეველმა დაამარცხა ნორვეგიის ჩემპიონი ტერ ხეგნა, ხოლო მოსკოველმა ვ. ბორისოვმა მოუგო იენ-ერიკ რუსტადს. წყვილთა შეხვედრა გვიან დამთავრდა. როგორც არ უნდა დამთავრებულიყო ეს პაექრობა, სსრ კავშირის ნაკრები მაინც გამარჯვებულია.

# ლიდერობს ცსკა

**ვილნიუსსა** და ლენინგრადში მიმდინარეობს კალათბურთელ ვაჟთა საკავშირო ჩემპიონატის მეორე წრის მატჩები.

**ვილნიუსში** გამართული პირველი დღის ორი მატჩის შედეგები ჩვენს მკითხველს უკვე გავაცანით. რაც შეეხება გუშინწინდელ, მესამე შეხვედრას, მოსკოვის „დინამოსა“ და მინსკის რტის შორის, მოსკოველთა გამარჯვებით დამთავრდა — 118:97.

**ლენინგრადის** ჯგუფში გუშინ დაიწყო ტურნირი. თბილისის „დინამო“ შეხვდა ტალინის „კალევს“. თბილისელთა შორის საუკეთესო იყო ნ. დერიუგინი. მან გუნდს 28 ქულა შესძინა, მაგრამ, სამწუხაროდ ამან საქმეს ვერ უშველა, დინამოელებმა დამარცხებულებმა დატოვეს მოედანი — 76:79 (37:38). თბილისელები დღეს ხვდებიან კიევის „სტროიტელს“.

ჩემპიონატს ამჟამად ერთპიროვნულად ლიდერობს ცსკა, რომელსაც 11 მოგება აქვს.

# მოკლედ

**მძლეოსნობა.** ლენინგრადში გამართულ წარსულში ცნობილი მწვრთნელის ვ. ალექსეევის ტრადიციულ მემორიალზე ჰოკით ხტომაში კიეველმა ი. პროხორენკომ გაიმეორა ევროპის მიღწევა (დარბაზებისათვის) და 5 სანტიმეტრით გააუმჯობესა საკავშირო შედეგი: იგი თამასას გადაევლო 557 სანტიმეტრზე.

**ჰოკეი.** თითქმის თვენახევრიანი ანტრაქტის შემდეგ განახლდა სსრ კავშირის ჩემპიონატის მატჩები. გათამაშების ლიდერმა ცსკამ ლენინგრადის არმიელთა გუნდი დაამარცხა ანგარიშით 13:5 და კიდევ უფრო განიმტკიცა სატურნირო მდგომარეობა.

სპორტი

# თბილისელთა უპირატესობით

**ქუთაისში** ოთხ დღეს გრძელდებოდა საქართველოს პირადი პირველობა კლასიკურ ჭიდაობაში 1959-1961 წლებში დაბადებულ ახალგაზრდებს შორის. იუნიორთა ამ შეჯიბრებაში თბილისელთა უპირატესობა ერთობ აშკარა იყო. საკმარისია ითქვას, რომ ათი წონითი კატეგორიიდან უძლიერესის წოდება რვა თბილისელმა მოიპოვა: რ. მანუკიანმა, ბ. გოგინაშვილმა, ა. ქველიაშვილმა, ნ. წერეთელმა, ვ. ადეიშვილმა, დ. მახარაძემ, გ. კვიციაშვილმა და თ. ავლოხაშვილმა. პირველი ადგილები მოიპოვეს აგრეთვე ქუთაისელებმა — ა. ჯანგავაძემ და უ. თევდორაძემ. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ დანარჩენ საპრიზო ადგილებზე გავიდნენ რესპუბლიკის სხვა ქალაქებისა და რაიონული ცენტრების წარმომადგენლები.

ახლა საქართველოს იუნიორთა ნაკრები სსრ კავშირის დამსახურებული მწვრთნელის ი. ჩხარტიშვილის ხელმძღვანელობით შეუდგება მზადებას საკავშირო პირველობისათვის, რომელიც თებერვალში ლიტვის ქალაქ პანევეჟისში გაიმართება.

ტელევიზია

## 19 იანვარი

### პირველი პროგრამით

09.00 — „ვრემია“ (საინფორმაციო პროგრამა (მოსკოვიდან), 09.40 — სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „მდინარე“ (ფერადი), 10.10 — მეათეკლასელთათვის — ფიზიკა (ფერადი), 17.00 — აბიტურიენტთათვის — ქიმია (ფერადი), 17.30 — განცხადებები (ფერადი), 17.35 — შევისწავლოთ ფრანგული ენა, 18.05 — მოსწავლეთათვის — მოკლემეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „სპილო და თოკი“, 19.05 — სპორტული კალეიდოსკოპი. ფერადი (განმეორებით), 20.00 — არჩევნების შესახვედრად, 20.20 — კონცერტი, 21.00 — „მოამბე“ — საინფორმაციო პროგრამა (ფერადი), 21.30 — ფერადი სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი... თბილისი, 22.00 — „ვრემია“ (საინფორმაციო პროგრამა მოსკოვიდან), 22.35 — ახალი ამბების სპეციალური გამოშვება.

### მეორე პროგრამით

18.00 — მასწავლებლის საათი — ქიმია (ფერადი), 18.45 — განცხადებები (ფერადი), 18.50 — მერვეკლასელთათვის. ფიზიკა (ფერადი), 19.35 — მხატვრული ფილმი „ჰამლეტი“ (II სერია), 20.45 — სატელევიზიო დოკუმენტური ფილმები „რთული გზა“, „ადამიანი საფრთხეშია“, „ზღურბლს იქით“.

რადიო

## 20 იანვარი

### პირველი პროგრამით

06.10 — უკანასკნელი ცნობები, 06.40 — ჩვენი მთა-ბარის ჰანგები, 07.30 — რადიოგაზეთი „საქართველოს პიონერი“, 08.00 — გაზეთ „პრავდის“ მიმოხილვა (მოსკოვიდან), 08.40 — ქართული ხალხური მუსიკა, 09.25 — რესპუბლიკური გაზეთების მიმოხილვა, 09.45 — მღერის მ. ბიეშუ, 10.00 — ცენტრალური გაზეთების ფურცლებზე (მოსკოვიდან), 11.20 — მსუბუქი საორკესტრო პიესები, 11.30 — უკანასკნელი ცნობები, 12.00 — საბჭოთა პოეტები. — საქართველოს, 12.15 — კონცერტი შ. მშველიძის ნაწარმოებებიდან, 13.30 — ვ. აზარაშვილი — სიმღერები, 14.00 — ძველებური მუსიკის კონცერტი, 15.15 — გ. ტაბიძე. „მშვიდობის წიგნი“ — რადიოდადგმა, 16.15 — რადიოჟურნალი საბჭოთა არმიის მეომრებისათვის, 17.15 — ბავშვებისათვის — რადიოდადგმა „რა გვიამბო ბუხრის ჭრიჭინამ“, 18.00 — მსოფლიოს ერთი კვირის ამბები, 18.10 — მელოდია, რიტმი, განწყობილება (კონცერტი), 19.00 — „შოლტი“ — სატირულ-იუმორისტული რადიოჟურნალი, 19.30 — უკრავს ლ. ისაკაძე, 20.30 — „ჩვენი იშვიათი ჩანაწერები“ — საქართველოს რადიოს მუსიკალური ფონდიდან, 21.00 — ძილისპირული, 21.30 — ახალგაზრდობისათვის — „როცა რედაქციაში წერილი მოდის...“, 22.00 — „საღამო მშვიდობისა!“, 22.30 — უკანასკნელი ცნობები, 23.30 — ი. კეჭეყმაძე — სიმღერები, 23.55 — უკანასკნელი ცნობები.

თეატრი

## 19 იანვარი

ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური — **მედეა** (III აბონ. VIII წარმ.); შ. რუსთაველის სახელობის სახელმწიფო აკადემიური — **შუშანიკის მარტვილობა**; კ. მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო აკადემიური — **რვა მოსიყვარულე ქალი**; ვ. აბაშიძის სახელობის მუსიკალური კომედიის — **სიყვარულის მგოსანი ვარ...**; მინიატიურების სახელმწიფო — **ფული და სიყვარული**; კინოსტუდია „ქართული ფილმის“ თეატრალური სახელოსნო — **წამება დედოფლისა.**

რედაქტორი
გ. ბედინეიშვილი.

კომუნისტი

ჩვენი მისამართი და ტელეფონებია:

380096 თბილისი-96, ლენინის 14. რედაქტორის მოადგილეების — 99-93-03, 99-03-09, პ/მდივნის — 99-72-80, სამდივნოსი — 99-66-10, განყოფილებებისა: პარტიული 99-87-61, პროპაგანდის — 93-22-93, მრეწველობის — 93-20-34, სოფლის მეურნეობის — 99-52-46, საბჭოთა მშენებლობის — 93-18-70, მეცნიერების, უმაღლესი სასწავლებლებისა და სკოლების — 93-27-58, ლიტერატურისა და ხელოვნების — 99-55-01, კორესპონდენტთა ქსელის და პრესის მიმოხილვის — 93-95-98, ინფორმაციის — 93-16-90, უცხოეთის — 99-60-21, წერილების — 99-73-24, ილუსტრაციის — 93-28-54.